დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ-ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნესტან სიხარულიძე
წევრები:
1. თეა გაბელაია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2.მარინა ისკაკოვა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
3.ინგა მოსიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
4. ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
5.ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
6.თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
7. ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
8. ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
9. ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
10.ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242736982

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. წალენჯიხა; ლ.ქიაჩელის ქ.N89
საფოსტო ინდექსი	5200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1821?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%3%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ელ.ფოსტა tsalenjikha3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	593279237

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 25 0000502835 08/05/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	5-6 ივნისი, 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	სსიპ ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. წალენჯიხა; ლ. ქიაჩელის ქ. N89; 1 შენობა-ნაგებობა
	სსიპ ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. წალენჯიხა; ლ. ქიაჩელის ქ. N89; 1 შენობა-ნაგებობა
	სსიპ ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. წალენჯიხა; ლ. ქიაჩელის ქ. N89; 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლაში 2025 წლის 5-6 ივნისს ვიმყოფებოდით. შეფასების პროცესი სამუშაო რეჟიმში წარიმართა. ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი, როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ისე- საგნობრივი კათედრების წევრებთან. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი კათედრების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს სასწავლო გარემო, ადგილზე გაეცნენ სკოლაში არსებულ დოკუმენტაციას.ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ვიზიტის ორივე დღეს ჩაერთო საგნობრივი ექსპერტების შეხვედრებში, გამართა დიალოგი სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან კურიკულუმების შემუშავების, განხორციელების, გადამუშავების პროცესის შესახებ, კომპლექსური და/ან შემოქმედებითი ტიპის დავალებებისა და მოსწავლეთა შეფასებების პროცესის შესახებ; გასცა რეკომენდაციები დიფერენცირების, სხვადასხვა შესაძლებლობებისა და მზაობის მოსწავლეებთან მუშაობის შესახებ.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან, თანამშრომლურ გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლას აქვს კარგი გამოცდილება სპორტულ აქტივობების განხორციელებაში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ფეხბურთის დუნდის წარმაფებები, როგრც რეგიონის, ისე-ქვეყნის მასშტაბით.
მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია საკლუბო მუშობაში სახელოვნებო მიმართულებით. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მუსიკის მოყვარულთა კლუბი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 140	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	**რეკომენდაცია:** სკოლამ უზრუნველყოს კანონის შესაბამისი კვალიფიციური, სერტიფიცირებული ექიმის შერჩევა შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი ვადის შესაბამისად (10.07.2026 წელი).
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია** **რეკომენდაცია:** სკოლამ მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დასკვნა შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი ვადის შესაბამისად (04.07.2027 წელი). **რეკომენდაცია:** სკოლამ უფლებამოსილ უწყებასთან შეათანხმოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი ვადის შესაბამისად (04.07.2027 წელი). **რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის ვიდეო კამერებით აღჭურვა** შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი ვადის შესაბამისად (04.07.2027 წელი). რეკომენდაცია:უფლებამოსილ ორგანოსთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციებშის მართვის გეგმა შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი ვადის შესაბამისად 2025 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში .

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს უცხოური ენებისდაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სტანდარტის შესაბამისი თემების ასახვა შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოდგენილ ვადებში (2025 წლის 8 სექტემბერი) .* .
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	

ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	***რეკომენდაცია:*** *სკოლამ უზრუნველყოს უცხოური ენების საგაზო საფეხურის კურიკულუმში სტანდარტის შესაბამისი თემების ასახვა შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოდგენილ ვადებში (2025 წლის 8 სექტემბერი) .*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი საშუალო საგანმანათლებლო საფეხური**	
ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	***რეკომენდაცია:*** *სკოლამ უზრუნველყოს უცხოური ენების საშუალო საფეხურის კურიკულუმში სტანდარტის შესაბამისი თემების ასახვა შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოდგენილ ვადებში (2025 წლის 8 სექტემბერი) .* .

V. **რჩევა**

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N1.2.1.1.	**სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**	**რჩევა:** სკოლამ განახორციელოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიმდინარე მონიტორინგი და შეფასება პირელი სემესტრის ბოლოს
ინდიკატორი N1.2.1.1.2.	**სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას,**	**რჩევა:** სკოლამ შვიდივე წელზე გაწეროს სკოლის არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

	ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	**რჩევა:** სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს **სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში** და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი მონიტორინისა და შეფასების ვადები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.1.1.1.	სკოლაშიმოქმედისტრუქტურული ერთეულების/პირებისფუნქციები მკაფიოდ განსაზღვრული	**რჩევა:** სკოლამ შექმნას გრაფიკულად გამოსახული სკოლის სტრუქტურა
ინდიკატორი N.3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	**რჩევა:** სკოლამ იკვლიოს, მასწავლებლებთან ერთად, დანარჩენი პერსონალის განვითარების საჭიროება, შემუშავებული გეგმის შესაბამისად.
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების	**სკოლას მიეცა რჩევა**: ხელშეკრულება გააფორმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან. **სკოლას მიეცა რჩევა:** აწარმოოს ვიზიტორთა რეგისტრაცია შესაბამის ჟურნალში.

	მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N.3.4.1.6.	**სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**	**სკოლას მიეცა რჩევა,** გააფორმოს ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან.
ინდიკატორი N.3.5.1.3.	**სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**	**სკოლას მიეცა რჩევა:** სრულად აწარმოოს წიგნადი ფონდის კატალოგი, სრულად დანომროს მხატვრული ლიტერატურა.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური**	***რჩევა***

ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*საზოგადოებრივი მეცნიერებები:* **რჩევა:** სკოლამ დაწყებით საფეხურზე გამოიყენს საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუში და საგან ,,მე და საზოგადოების" საგნობრივი კურიკულუმის სამიზნე ცნებების გრაფში ასახოთ მცნებები და ქვემცნებები, ხოლო საკითხები გადაიტანოთ შესაბამის გრაფაში.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*ტექნოლოგიები:* **რჩევა** ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები".
ინდიკატორი N.2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	*უცხოური ენები* **რჩევა:** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.
ინდიკატორი N.2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	*ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:* **რჩევა-** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს

		კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.
ინდიკატორი N.2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები** **რჩევა:** კურიკულუმების შექმნის / მოდერნიზების დროს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენი აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე კურიკულუმების ფორმას დაუმატონ ,,შენიშვნების“ სვეტი რომელშიც ჩაწერენ იმ ცვლილებებს რომლებსაც განახორციელებენ სასწავლო პროცესის დროს ან ცალკე დოკუმენტად ჩაწერონ ეს ცვლილებები, რომლებიც იქნება გათვალისწინებული მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.
ინდიკატორი N.2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**უცხოური ენები** **რჩევა:** კათედრამ ცალკე შეიმუშავოს უცხოური ენების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის, რათა ამ რუბრიკების საშუალებით მასწავლებლებმა შეძლონ სასწავლო პროცესის დროს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასებების განხორციელება.
ინდიკატორი N.2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**უცხოური ენები** **რჩევა:** კათედრამ ან სკოლამ შეიმუშავოს კრიტერიუმები რომლის მეშვეობით კათედრის წევრები ან სკოლის მიერ სპეციალურად განსაზღვრული პირი დაადგენს დამხმარე რესურსების ვალიდურობას, დაადგენს თუ რამდენად ეხმარება შერჩეული დამხმარე რესურსი მოსწავლეებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. **სახელმწიფო ენა**

		რჩევა: სკოლამ შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის შემოწმების ფორმა, რომელსაც მასწავლებლები გამოიყენებენ კათედრების სამუშაო შეხვედრებზე დამხმარე რესურსის ვალიდაციის შესამოწმებლად. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა**-დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში აისახოს კონკრეტული-ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ინტერნეტ რესურსი, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები და სხვა.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საგანმანათლებლო საფეხური**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	საზოგადოებრივი მეცნიერებები რჩევა:საბაზო საფეხურზე, მე-9 კლასში, ისტორიის კურიკულუმში, სასურველია გაამსხვილოთ საკითხთა კლასტერი სასწავლო თემების შესაბამისად, შეავსოთ ყველა გრაფა და მისცეთ კურიკულუმს დასრულებული სახე.
ინდიკატორი N.2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	*უცხოური ენები* **რჩევა:** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.

ინდიკატორი N.2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები** **რჩევა:** კურიკულუმების შექმნის / მოდერნიზების დროს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენი აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე კურიკულუმების ფორმას დაუმატონ ,,შენიშვნების“ სვეტი რომელშიც ჩაწერენ იმ ცვლილებებს რომლებსაც განახორციელებენ სასწავლო პროცესის დროს ან ცალკე დოკუმენტად ჩაწერონ ეს ცვლილებები, რომლებიც იქნება გათვალისწინებული მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.
ინდიკატორი N.2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**უცხოური ენები** **რჩევა:** კათედრამ ცალკე შეიმუშავოს უცხოური ენების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის, რათა ამ რუბრიკების საშუალებით მასწავლებლებმა შეძლონ სასწავლო პროცესის დროს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასებების განხორციელება.
ინდიკატორი N.2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**უცხოური ენები** **რჩევა:** კათედრამ ან სკოლამ შეიმუშავოს კრიტერიუმები რომლის მეშვეობით კათედრის წევრები ან სკოლის მიერ სპეციალურად განსაზღვრული პირი დაადგენს დამხმარე რესურსების ვალიდურობას, დაადგენს თუ რამდენად ეხმარება შერჩეული დამხმარე რესურსი მოსწავლეებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. **სახელმწიფო ენა**

		რჩევა: სკოლამ შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის შემოწმების ფორმა, რომელსაც მასწავლებლები გამოიყენებენ კათედრების სამუშაო შეხვედრებზე დამხმარე რესურსის ვალიდაციის შესამოწმებლად.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები რჩევა: სკოლამ მე-12 კლასის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმები შექმნას ცალკე დოკუმენტებად და ცალცალკე გამოკვეთოს ორივე საგნისთვის სასწავლო თემები , საკითხთა კლასტერები,სამიზნე ცნებები/ქვეცნებები. მე-10 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში, სასწავლო თემა სამართლებრივი კულტურა- გაამსხვილონ საკითხთა კლასტერი, რაც გააადვილებს ყველა სამიზნე ცნების დამუშავებას.
ინდიკატორი N.2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**უცხოური ენები** **რჩევა:** კათედრამ ცალკე შეიმუშავოს უცხოური ენების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის, რათა ამ რუბრიკების საშუაელებით მასწავლებლებმა შეძლონ სასწავლო პროცესის დროს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასებების განხორციელება.
ინდიკატორი N.2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***უცხოური ენები*** **რჩევა:** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.

ინდიკატორი N.2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხოური ენები** **რჩევა:** კურიკულუმების შექმნის / მოდერნიზების დროს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენი აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე კურიკულუმების ფორმას დაუმატონ ,,შენიშვნების“ სვეტი რომელშიც ჩაწერენ იმ ცვლილებებს რომლებსაც განახორციელებენ სასწავლო პროცესის დროს ან ცალკე დოკუმენტად ჩაწერონ ეს ცვლილებები, რომლებიც იქნება გათვალისწინებული მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.
ინდიკატორი N.2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**უცხოური ენები** **რჩევა:** კათედრამ ან სკოლამ შეიმუშავოს კრიტერიუმები რომლის მეშვეობით კათედრის წევრები ან სკოლის მიერ სპეციალურად განსაზღვრული პირი დაადგენს დამხმარე რესურსების ვალიდურობას, დაადგენს თუ რამდენად ეხმარება შერჩეული დამხმარე რესურსი მოსწავლეებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. **სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სკოლამ შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის შემოწმების ფორმა, რომელსაც მასწავლებლები გამოიყენებენ კათედრების სამუშაო შეხვედრებზე დამხმარე რესურსის ვალიდაციის შესამოწმებლად.

VI. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.

კერძოდ: სკოლამ სრულ შესაბამისობაში მოიყვანა მე-3 სტანდარტის 3.1. კომპონენტის 3.1.2.კრიტერიუმის 3.1.2.1. ინდიკატორი, რაც გამოიხატა იმაში, რომ სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი „(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანების“ შესაბამისად) და სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა აღნიშნული დოკუმენტი.(იხ.სამეურვეო საბჭოს ოქმი N6- 18.06.2025) ინდიკატორი დაკმაყოფილდა.

სკოლამ მეტწილად დააკმაყოფილა 3.1.2.4. ინდიკატორი, რომელიც გულისხმობს კანონის შესაბამისი კვალიფიციური, სერტიფიცირებული ექიმის შერჩევას. შესაბამისობის გეგმაში სკოლამ შესრულების ვადად მიუთითა პერიოდი 2025 წლის 10 ივლისიდან 2026 წლის 10ივლისამდე, რაც ექსპერტთა ჯგუფმა ლოგიკურად მიიჩნია.

სკოლამ შენობის ვიდეოკამერებით აღჭურვის, მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნების მოსაპოვებლად განსაზღვრა პერიოდი -2025 წლის 4 ივლისიდან 2027 წლის 4 ივლისამდე, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

3.4.1.1. ინდიკატორის შესაბამისად, სკოლამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, რაც ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სავსებით საკმარისია.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრა, რომ ახალი სახწავლო წლისათვის (2025 წლის 8 სექტემბერი) უცხო ენის კურიკულუმში დაამატებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შესაბამის თემებს, რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ-ქალაქ წალენჯიხის N 3 საჯარო სკოლის მისიაში ვკითხულობთ, რომ სკოლა აქცენტირებულია მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენაზე, პატრიოტული ცნობირების ამაღლებასა და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, რაც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ხედვაში სკოლა ხაზს უსვამს, რომ შექმნის ისეთ გარემოს, რომელშიც ყველა მოსწავლეს ექნება საშუალება, მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას არა მხოლოდ დეკლარირებული აქვს მისია და ხედვა, არამედ-რეალურად ახორციელებს იმ აქტივობებს, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს დასახულ შედეგზე გასვლას. ზეპირი ინტერვიუს მიმდინარეობისას საცნაური გახდა, რომ სკოლა, მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესში ხელმძღვანელობნა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტით და მასზე დაყრდნობით შექმნეს სკოლის მისია და ხედვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით ზოგადად წარმოაჩენს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. ერთი წელია, რაც ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო; სკოლაში შესვენებების დროს დაწესებულია მორიგეობა, სკოლის მიერ განსაზღვრული სპეციალური პირის მიერ, ასევე, ექიმის, მასწავლებლებისა და დამრიგებლების მხრიდან ხდება სკოლაში უსაფრთხოების დაცვა.

სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, თუმცა არ ყოფილა დისციპლინური საქმისწარმოება.

ხდება წარმატებული მოსწავლეების წახალისება სიგელებით. მოსწავლეები ენთუზიაზმით მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო თუ სკოლისგარეშე სპორტულ და სახელოვნებო აქტივობაში, სასკოლო თუ საკლასო პროექტებში.

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ნიჭისა და უნარების გამოვლენას, იმართება მოსწავლეთა ნაშრომების გამოფენა, საჩვენებელი ღონისძიებები, რომლებსაც ესწრებიან მშობლები. ისინი არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში და აქვთ ინფორმაცია თავიანთი შვილების წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს. .

სკოლაში მოქმედებს კლუბები: ეკოკლუბი, კლუბი „პითაგორა“ , მომღერალთა კლუბი, სპორტის მოყვარულთა და ა.შ. რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა საკლუბო აქტივობას. ხორციელდება სასკოლო პროექტები სხვადასხვა პრიორიტეტულ თემაზე, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას. განხორციელებულ პროექტთა შორის საყურადღებოა „ენერგეტიკული სასმელი და მისი გავლენა მოზარდზე“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მისიისა და ხედვის შექმნაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. სკოლას შექმნილი ჰყავს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: სკოლის დირექტორი, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, სხვადასხვა საგნის პედაგოგები, მშობელი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. მათთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ჯგუფი ერთობლივად მუშაობდა სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბებაზე, სტრატეგიული განვითარების გეგმაზე.
სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის წევრებმა სიტყვიერად დაგვიდასტურეს შემუშავების პროცესში ჩართულობა, იმსჯელეს, როგორ იყვნენ ჩართულნი, რა კონკრეტული წინადადებები მოამზადეს. მათ აღნიშნეს, რომ სკოლის სამასწავლებლოში ხდებოდა მუშაობის პროცესში წაომჭრილი საკითხების ერთობლივად განხილვა, სანამ საბოლოო სახე არ მიიღო სკოლის მისიამ და ხედვამ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ შემუშავებული სკოლის მისია და ხედვა დირექტორმა განსახილველად და შესათანხმებლად წარუდგინა სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებს. სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების სხდომის ოქმებში ჩანს მისიისა და ხედვის განხილვა და გაზიარება საკოლო საზოგადოების მიერ. ვიზიტის პროცესში სკოლამ პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმების სახით წარმოადგინა მისიისა და ხედვის საზოგადოებისათვის გაზიარების დამდასტურებელი დოკუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**
   სკოლამ უზრუნველყო მათ მიერ შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობა, კერძოდ, სკოლის დერეფანში გამოკრულია თვალსაჩინოდ, ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე, გაცნობილია პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების სხდომებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რაც მტკიცდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის მისიასა და რევიზიაზე, შვიდწლიან და ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე პასუხისმგებელი ჯგუფი (ბრძანება)
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. (ბრძანება)

- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ-ქალაქ წალენჯიხის N 3 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებულია N 2-24 /12.09.2024.ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის, განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. პროცესებთან დაკავშირებულ ძირითად პრიორიტეტებად სკოლა ასახელებს: გუნდურობას, თანასწორობას, სამართლიანობას, სოციალურ პასუხისმგებლობას. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის მექანიზმი ეფუძნება “ SWOT” ანალიზს, რომლის საფუძველზეც მუშავდება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა. მეთოდოლოგიაში ყოველ სტრატეგიულ მიმართულებას შეესაბამება თავისი ამოცანები. მეთოდოლოგიაში ნათლად არის გაწერილი დაგეგმილი პროცესების მიმდინარეობის ვადები, საკვანძო ღონისძიებები და პასუხისმგებელი პირები. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას

მეთოდოლოგია ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ, სასწალო წლის ბოლოს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის სასწავლო წლის ბოლოს შეფასება ვეღარ დაეხმარება მიმდინარე პროცესს, ამდენად, უმჯობესია მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს შეალედურადაც, 6 თვეში(ან პირველი მემესტრის დასარულს) ერთხელ.

რჩევა: სკოლამ განახორციელოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგი და შეფასება პირელი სემესტრის ბოლოსაც .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

..სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა მომზადებულია სტრატეგიული დაგემვის ჯგუფის მიერ, რომელშიც ჩართულნი იყვნენ: სკოლის დირექტორი, პედადოდიური საბჭოს თავმჯომარე, ორი პედაგოგი, მშობელი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით. სტრატეგიული გეგმის გაცნობისას გამოიკვეთა, რომ იგი არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. კერძოდ: სკოლა აქცენტირებულია მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენაზე, პატრიოტული ცნობირების ამაღლებასა და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე,რის განხორციელებასაც აპირებს რიგი ამოცანების გადაჭრით. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში სკოლა აპირებ, აამაღლოს დემოკრატიული სტრუქტურული მმართველობა, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენას. ასეთი მოსწავლე მაღალი ღირებულების მატარებელი იქნება და საუკეთესოდ გაითავისებს ეროვნულ ფასეულობებს.

შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია უსაფრთხო, ინფრასტრუქტურულად გამართული სკოლის ხელშწყობა სკოლის მართვის დემოკრატიული სტრუქტურის განმტკიცება;

სტრატეგიულ მიზნებში სკოლა მოიაზრებს მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, რათა პარალელურად უზრუნველყოს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

სკოლის მიერ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი მიზნები თანმიმდევრული და რეალისტურია, თუმცა, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიმართულებით გაწერილია მხოლოდ პირველ სამ წელიწადზე და არ ჩანს, რას აკეთებს სკოლა ამ მიმართულებით მომდევნო ოთხ წელიწადს, ხარისხის განვითარება კი სისტემატური და ციკლური პროცესია.

რჩევა: სკოლამ შვიდივე წელზე გაწეროს სკოლის არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ-ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლას შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმით გათვალისინებული, ერთ წელზე გაწერილი, რეალისტური მიზნები, ისეთი, როგორიცაა: სკოლის მართვის დემოკრატიული სტრუქტურის განმტკიცება; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; ციფრული ტრანსფორმაცია,- რაც სრულად შეესაბამება სკოლს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას.

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია ის აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების ერთ წელზე გაწერილი ამოცანების შესრულებას.

სკოლა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებას, რომელსაც წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასება ექვემდებარება მომდევნო საწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას ყველა იმ შედეგის გათვალისწინებით, რომელიც წარმოდგენილია შეფასებაში.

სკოლას **სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში** უწერია, რომ ორივე (სტრატეგიული და სამოქმედო) გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მონიტორინგი და შეფასება გაწერილი აწვს მთელ სასწავლო წელზე, რაც არღვევს შესაბამისობას მეთოდოლოგიას და სამოქმედო გეგმას შორის. უფრო გონივრული იქნება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ: ერთი- შუალედური, პირველი სემესტრის ბოლოს, ხოლო მეორე-სასწავლო წლის დასრულებისას, რათა შეფასება გთვალისწინებული იქნას მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცეში.

რჩევა: სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს **სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში** და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი მონიტორინისა და შეფასების ვადები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქვს ისეთი აქტივობები, რომლებიც გაწერილია გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებში, მაგალითად სკოლის მართვის დემოკრატიული სტრუქტურის განმტკიცენის მიზნით, ერთწლიან სამოქებო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აქ პასუხისმგებელ პრებად ვხვდებით დირექციას, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, საგნობრივ კათედრებს. აქვეა გაწერილი შესრულების გონივრული ვადები, სკოლის აქტივობები და ინდიკატორები, რომლებიც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების ეტაპობრივ შესრულებას.

მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით პასუხისმგებელ პირებად გვევლინება დირექცია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, კათედრები, სამეურვეო საბჭო. დაგემილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. მაგ. „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის“ გამოყენება, გამოცდილების გაზიარება სასკოლო კონფერენციაზე, მეზობელ სკოლასთან პარტნიორული ურთიერთობა. აქტივობის განხორციელების ვადები რეალისტურია. შედეგების გაზომვა ხდება ანგარიშების წარმოდგენით პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოების სხდომებზე.

სკოლის ინფრასტრუქტურული განვითარების მიმართულებით დასახულია ისეთი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუყობს უსაფრთხო და სასწავლო პროცესის განვითარებაზე ორიენტირებული სკოლის ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით პასუხისმგებელ პირებად გვევლინებისან სკოლის დირექცია, ბუღალტერი, მნე, სკოლის საზოგადოება. გეგმაში მითითებულია ისეთი კონკრეტული აქტივობა, როგორიცაა გარე სპორტული მოედნის კეთილმოწყობ. გაწერილი ვადები დაცულია, სამუშაო შესრულებულია. ანგარიშის წრმოდგენა იგეგმება სასწავლო წლის ბოლო სამეურვეო და პედაგოიური საბჭოების სხდომებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- სკოლის დირექტორი ბრძანება

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული გაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასწავლო წლის ბოლოს მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებას. შეფასების განხორციელების ვალდებულება ეკისრება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილ სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს.
სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ.
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება, გადეგმვის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ისეთებს, როგორიცაა: მონაცემთა შეგროვება, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება, შეგროვებული მონაცემების გაანალიზება . სკოლა შეფასების მექანიზმში ითვალისწინებს, ასევე, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას, საჭიროებიდან გამომდინარე.
მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების საბოლოო შედეგების წარდგენას სკოლის დირექტორისათვის, შემდგომი რეაგირებისათვის. სკოლის დირექტორი, სასწავლო წლის ბოლოს, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, წლიური ანგარიშის ფორმით წარუდგენს სკოლს სამეურვეო საბჭოს, რათა ერთობლივად მოხდეს შემდგომი საჭიროებების განსაზღვრა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთიდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება სასწავლო წლის ბოლოს თუმცა, ზეპირი გამოკითხვის დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის განმავლობაშიც ხორციელდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რაც ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც გაწერილია მთელი წლის მანძილზე. სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექტორი ანგარიშის სახით აცნობს სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაციას. პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოების სხდომაზე წარმოდგენილი უკუკავშირის გათვალისწინებით, მომდევნო სასწავლო წლისათვის, სკოლის დირექტოის მონაწილეობით მზადდება ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სასწავლო წლის ბოლოს განხორციებეული მონიტორინგი და შეფასება არ არის შედეგზე ორიენტირებული, რადგან არ არსებობს მონიტორინგისა და შეფასების შუალედური ანგარიშები. მონიტორინგის ჩატარების ვადებთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა, რომ ერთლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელონ 6 თვის თავზე, ან პირველი სემესტრის ბოლოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**
   სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გასაჯაროებას სკოლის სივრცეში, ასევე, ვებ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ანალიზის გამოცდილება სკოლას აქვს. კერძოდ; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, წინა სასწავლო წელს დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო კონფერენცია, გამოცდილების გაზიარების მიზნით, კარგი აქტივობა გამოდგა და სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელსაც განახორციელა. ზეპირი გამოკითხვით ირკვევა, რომ მომდევნო სასწავლო წელს სკოლა აპირებს მასწავლებელთა სასკოლო კონფერენციის ჩატარებას მეზობელი, პარტნიორი სკოლის საზოგადოებასთან ერთად. ზეპირი გამოკითხვით ირკვევა, რომ სკოლას დაწყებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასება, რომელსაც გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. სტრატეგიული განვითარების გეგმის სრული შეფასება განხორციელდება სასწავლო წლის ბოლოს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერის დოკუმენტი (თანამდებობრივი ინსტრუქციები),რომელიც დამტკიცებულია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით (ბრძანება N2-50/12.09.2024.) . დოკუმენტი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: სტრუქტურული ერთულების/ პირების ჩამონათვალი, მათ მიერ განსახორციელებელი სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები.

სკოლაში ფუნქციონირებს: სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება სამი პედაგოგისგან, სამი მშობლისა და ერთი თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან.

პედაგოგიური საბჭო, რომელიც მოიცავს 7 საგნობრივ კათედრას: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, დაწყებითის, ესთეტიკურიაღზრდის და სპორტის. დოკუმენტში გაწერილია კათედრების ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორისა და ბუღალტრისგან.

სკოლის ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დამლაგებლები, 2 დარაჯი, ასევე, სოციალური პროგრამით დასაქმებული ჰყავს მეეზოვე, დამხმარე პერსონალი.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი.

სკოლას ჰყავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე შექმნილი მრჩეველთა საბჭო , ასევე, ზოგადი განათლების შესახებ კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შექმნილი დისციპლინური კომიტეტი, თუმცა არა აქვს დისციპლინური კომიტეტის საქმისწარმოება, რაც ზეპირად ახსნეს იმით, რომ სკოლა პატარაა და დისციპლინური დარღვევა არა აქვს .

სტრუქტურული ერთეულების, პირების ფუნქციების აღწერის დოკუმენტში გაწერილია თითოეული რგოლის ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლის საზოგადოება გაცნობილია მას და იცის, საჭოროებიდან გამომდინარე, ვის მიმართოს კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად.

სკოლას არ ჰქონდა სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას.

სკოლას მიეცა რჩევა: შექმნას გრაფიკულად გამოსახული სკოლის სტრუქტურა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის მიერ შექმნილ და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ სტრუქტურული ერთეულების, პირების ფუნქციების აღწერისა და პასუხისმგებლიობის დოკუმენტში ((ბრძანება N2-50/12.09.2024.) ნათლად არის გაწერილი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები და გამოკვეთილია პასუხისმგებლობები, რაც ემსახურება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. მაგალითად, დოკუმენეტში წერია, რომ სტრუქტურული ერთეული „ პედაგოგიური საბჭო“ იწვევს სხდომას წელიწადში სულ ცოტა სამჯერ. განიხილავს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას; განიხილავს და ამტკიცებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხას; იღებს გადაწყვეტილებას სწავლა-სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად. პედაგოგიური საბჭოს ჩატარება დასტურდება შესაბამისი ოქმებით.
ამავე მარეგულირებელ დოკუმენტში დაწერილია სკოლაში მომუშავე ყველა პირის ფუნქციისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების შესახებ ინფორმაცია. თანამშრომელთა ფუნქცია და პასუხისმგებლობა ასევე განსაზღვრულია სკოლის მოქმედი

შინაგანაწესით. შინაგანაწერსი გაცნობილია სკოლის საზოგადოებისათვის, რაც დასტურდება მათი ხელმოწერით. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების საქმიანობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის განხორციელებას, მის დაცულ გარემოში წარმართვას.

 სკოლის დირექტორის ფუნქცია -მოვალეობათა შორის ვკითხულობთ, რომ ის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმით, რომელსაც დანართების სახით ფინანსური და სასწავლო პროცესების მიმდინარეობის ანგარიში თან ახლავს.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების და პასუხისმგებლობები არის გადანაწილებული. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის არის კოორდინაცია, ისინი მოქმედებენ შეთანხმებულად, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. სტრუქტურული ერთეულების მართვის ეფექტიანობა დაფუძნებულია ანგარიშგების პრინციპზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების გადანაწილების შესახებ ბრძანება და დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება
- მრჩეველთა საბჭოს ინსტრუქვია

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შექმნილი აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით (ბრძ NN2-50/12.09.2024) . ამ დოკუმენტით რეგულირდება სკოლის ადამიანური რესურსების მართვა, სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

ზემოთდასახელებული დოკუმენტი მოიცავს პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს; ახალი საშტატო ერთეულების განსაზღვრასა და ანალიზს; პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმებს; პერსონალის გადამზადებას, განვითარებასა და შეფასებას; პერსონალის მოტივაციის ამაღლებას და წახალისებას; პერსონალის შენარჩუნებას, სოციალურ ინტეგრაციასა და უსაფრთხოებას; კონფიდენციალურიობის, კომუნიკაციისა და ეთიკის ნორმების დაცვას; დოკუმენტის შემადგენელი ნაწილია პერსონალის სამსახურში მიღების წესი და პროცედურები; საკონკურსო კომისიის შექმისა და ხელშეკრულების გაფორმების წესები; პერსონალის სამსახურში მიღებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კანდიდატთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.

თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების დელეგირება ხდება ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. მაგ.: კლასის დამრიგებლობა, სახელმწიფო შესყიდვებზე პასუხისმგებელისმგებლობა, უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა და სხვა. ამავე დოკუმენტითა და სკოლის შინაგანწესით რეგურილდება სასკოლო საზოგადოების დისციპლინური პასუხისმგებლობა-წახალისება. დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას.

სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. სკოლის ყველა თანამშრომელი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას. შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო. ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და შვებულებაში გაშვების წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და შვებულებაში გაშვების წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის ზოგადი წესი. სკოლა, თითოეული თანამშრომლისთვის, კანონმდებლობის შესაბამისად, აწარმოებს პირად საქმეებს. სკოლის მიერ შეჩეული პერსონალი აკმაყოფილებს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილ მოთხოვნებს. მათთან გაფორმებულია პოლიტიკის დოკუმენტის, მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

სკოლაში ვიზიტის დროს წარმოჩენილი შემდეგი **ხარვეზი: სკოლის დირექტორმა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი „(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №.785 ბრძანების“ შესაბამისად), დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს.**

ვიზიტის შემდეგ : სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული დასაბუთება, რომლითაც დასტურდება, რომ **სკოლის დირექტორმა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი „(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანების“ შესაბამისად), დასამტკიცებლად წარუდგინა და სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა აღნიშნული დოკუმენტი (ოქმიN6-18.06.2025).**

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს სკოლა განსაზღვრავს დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. კერძოდ ,სხვა საკითხებთან ერთად, როგორიცაა დასაქმებული პირის სამუშაო ადგილის, სამუშაო დროისა და დასვენების შესახებ ინფორმაცია, ამავე ხელშეკრულებით რეგულირდება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების, ანაზღაურებადი და ანაზღაურებისგარეშე შვებულების წესი, შვებულებაში გასვლის განცხადების წარმოდგენის ვადები, სამუშაო ადგილი, დრო და დასვენება, საავადმყოფო ან დეკრეტული შვებულებით სარგებლობის წესი. დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები ხელშეკრულების გარდა, გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. მასში მითითებულია სამუშაოზე გამოცხადების დრო, ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი. სკოლას აქვს გადანაცვლებული გაკვეთილების ჩანაწერების წიგნი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით დარეგულირებულია პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ, დარეგულირებულია დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე. სკოლის დირექტორის სკოლაში არყოფნის შემთხვევაში, ვისზე იქნება გადანაწილებული მისი ფუნქცია. ამ მიმართულებით „ემისის“ ბაზაში

გათვალისწინებულია ჩამნაცვლებელი პირი.

სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ განხორციელებული პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლას ჰყავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №174/ნ საფუძველზე, კონკურსით შერჩეული ახალი მასწავლებლები.

გარდა პედაგოგებისა, სკოლაში შერჩეულია საჭიროებაზე მორგებული პიროვნებები შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით (მაგალითად ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბუღალტერი).

ვაკანსიის გამოცხადება, კონკურსი და კადრის შერჩევა განხორციელებულია გამჭვირვალობის დაცვით, კანონის შესაბამისად. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. თანამშრომლებს წარმოდგენილი აქვთ „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ „ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ“ „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ - შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონოთ გათვალისწინებულ და სკოლის მიერ „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით“ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თითოეულიო საგნის პედაგოგს აქვს შესაბამისი განათლება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. სკოლის მიერ გათვალისწინებულია ზოგადად საკვალიფიკაციო მოთხოვნები ყველა პოზიციაზე. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მისისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების საფუძველზე წინასწარ შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, რომლებიც წარდგენილია ვებ. გვერდზე- pedagogi.ge.

სკოლას დასაქმებული ჰყავს უსტატუსო სპეციალური მასწავლებელი, რომელსაც ამ ეტაპზე საგნობრივი კომპეტენცია არა აქვს დაკმაყოფილებული, თუმცა დარეგისტრირებულია გამოცდებზე.
ასევე, გამოცხადებული ვაკანსიით ვერ შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სკოლის ექიმი. დღესდრეობის სკოლაში დასაქმებულ ექიმს აქვს რეკომენდაცია, რომ 2025 წლის განმავლობაში უზრუნველყოს სერტიფიცირება, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება N 41/ნ/01-23/ნ-ის შესაბამისად, სადაც წერია, რომ სკოლის ექიმად მუშაობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს: „იყოს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სერტიფიკატს რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა. პედიატრია; ბ.საოჯახო მედიცინა; გ. ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“.

სკოლაში ვიზიტის დროს წარმოჩინდა შემდები

ხარვეზი: სკოლამ უზრუნველყოს სერტიფიცირებული ექიმის შერჩევა და დასაქმება სკოლაში;

ვიზიტის შემდეგ : სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული დასაბუთება, რომლითაც დასტურდება, რომ
სკოლა უზრუნველყოფს სერტიფიცირებული ექიმის შერჩევასა და დასაქმებას სკოლაში 10.07.2026 წლისათვის;
სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს სერტიფიცირებული ექიმის შერჩევა და დასაქმება სკოლაში 10.07.2026 წლისათვის;

ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ მიმდინარე პროცესები აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. პედაგოგიური საბჭოს და კათედრის თითოეული წევრი, თანამშრომლობის პრინციპის დაცვით, ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. თანამშრომლების შეფასების პროცესში აქტიურად არის ჩართული კოლექტიური ორგანო - ხარისხის ჯგუფი. სკოლაში ფართოდაა დანერგილი თანამშრომლობითი კულტურა და ურთიერთდასწრების პრაქტიკა.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

გამოცდილების აღიარების მექანიზმი გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც ითვალისწინებს წარმატებული პრაქტიკის მქონე თანამშრომელთა წახალისებას შემდეგი ფორმებით: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი ფულადი პრემიის გადაცემა. შინაგანაწესში ვკითხულობთ, რომ დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილინი არიან წერილობით მიმართონ სკოლის დირექტორს დასაქმებულის **წარმატების** აღიარების მიზნით, წახალისების თხოვნით .აღიარების საფუძვლად შეიძლება გახდეს წარმატებული საქმიანობის გაზიარება. ამ მხრივ სსიპ-ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლას კარგი გამოცდილება აქვს. კერძოდ, მასწავლებლთა თანამშომლობა პრაქტიკის გაზიარების მიზნით, როგორც კათედრის შიგნით, ისე კათედრებს შორის. გამოცდილების გაზიარების ფორმებია: ინტეგრირებუკლი გაკვეთილების დაგემვა-განხორციელება; ფოკუსირებული დაკვირვება საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას; კოლეგათა შორის თანამშრომლობა ტრენინგის ფორმით. აღნიშნული აქტივობების ჩატარება დასტურდება კათერდის გეგმებსა და ანგარიშებში.

მენტორი და წამყვანი მასწავლებლები მუდმივად თანამშრომლობენ უფროს მასწავლებლებთან . მათთან ერთად ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რითაც ხელს უწყობენ კოლეგებს კარიერულ წინსვლაში. სკოლა საუკეთესო გამოცდილების დანერგვის მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს ახლომდებარე სკოლებთან. ჩაატარეს ერთობლივი კონფერენცია. მოპოვებული დიპლომები, თასები და მედლები გამოფენილია თვალსაჩინოდ.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები
- *სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი*

- მადლობის სიგელები და თასები
- სკოლის შინაგანაწესი
- უფროსი, მენტორი და წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულები დანიშვნის ბრძანებები
- მასწავლებლის კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება,
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება
- კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუვებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების მექნიზმი. შეფასების სისტემა ეფუძნება ზრდასრულთა სწავლების კონცეფციას. შეფასების მეთოდად გამოყენებულია: თვითშფასება; ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიხედვით; მასწავლებლის ანგარიშის საფუძველზე; ხარისხის მართვის ჯგუფის შეფასების საფუძველზე; თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენა ხდება თვითშეფასების და გამოკითხვის საფუძველზე.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა. უსაფრთხო სკოლის მხარდაჭერის მიზნით გადამზადდა კონკრეტული პირი, რომელიც ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით არის დადგენილი და ახორციელებს უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომებს.

სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარების და პროფესიული მართვის ჯგუფი, რომელიც გაწერილი პერიოდულობით ესწრება საგაკვეთილო პროცესს და აფასებს მასწავლებელთა საქმიანობას, აძლევს ზეპირ უკუკავშირს, მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებათა დასადგენად ეწყობა ზეპირი გამოკითხვა, ავსებენ კითხვარს, ერთად მუშაობენ კათედრებიც, სკოლას აქვს კათედრის პორტფოლიოები. დანარჩენი პერსონალის განვითარების მიზნით, სკოლაში იმართება თათბირები, , ზეპირი

გამოკითხვა საჭიროებების გამოვლენისა და განვითარების მიზნით. ხარისხის განვითარების მიზნით სკოლამ იზრუნა დირექტორის, საქმის მწარმოებლის, ბუღალტრის გადამზადებაზე.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. მასში გაწერილია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას თვითშეფასების და გამოკითხვის საფუძველზე. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა. საჭიროების დაკმაყოფილება გულისხმობს როგორც სკოლის რესურსის გამოყენებას თანამშრომლობის ფორმატში, ასევე თანამშრომელთა დატრენინგებას საჭიროებიდან გამომდინარე.

მასწავლებლები, შემუშავებული გეგმის მიხედვით, ესწრებინ ერთმანეთს "კრიტიკული მეგობრის" სტატუსით. აფასებენ პროცესს ზეპირი და წერილობითი უკუკავშირის სახით, გეგმავენ პრევენციის გზებს, იხილავენ კომპლექსური ტიპის თუ შემოქმედებით და შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ და აფასებენ შედეგებს და სახავენ სამომავლო გეგმებს. ამ მუშაობაში კათედრებს კარგად დაეხმარა ურთიერთთანამშრომლობითი კულტურა, რომელიც სკოლაში არის დამკვიდრებული.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი ესგ-ს დანერგვისა და საბაზისო განათლების პროექტებში. სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პედაგოგებს, თვალნათლივ ჩანს კათედრათა შორის თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება.სკოლა ხელს უწყობს არამარტო მასწავლებელთა, არამედ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიულ ზრდას. ტრენინგი გაიარეს ბუღალტერმა, საქმეთა მმართველმა და დირექტორმა. სკოლის სპეციალური მასწავლებელი დარეგისტრირებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელ მასწავლებლის გამოცდაზე. კვალიფიკაციის დადასტურების აუცილებლობა უდგას სკოლის ექიმსაც.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია გათვალისწინებულია „ადამიანური რესურსების მარტვის პოლიტიკის დოკუმენტში“, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთათვის უსაფრთხო, სოციალურად თანასწორი გარემოს შექმას. გაწეული შრომის პატივისცემას და დაფასებას; მათთვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას და ა.შ.
სკოლა ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან თანამშრომელთა ინტეგრაციას, რაც დასტურდება სამასწავლებლოს შესაბამისი აღჭურვილობით (მაგიდა, სკამი, თარო, კარადა, კომპიუტერი), ტექნიკური პერსონალისათვის მათთვის აუცილებელი პირადი სივრცის გამოყოფას.
სკოლა ზრუნავს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციაზე სასკოლო გარემოში. ხორციელდება დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. სკოლა ყველანაირად ხელს უწყობს მათ ადაპტაციაში, გამოყოფს სპეციალურ პირს, რომელიც დაეხმარება ახალბედა თანამშრომელს მისთვის დავალებული საქმიანობის განხორციელებაში. მასწავლებლის შემთხვევაში ხდება კათედრებზე შეხვედრები, ერთად იგეგმება გაკვეთილები, ურთიერთდასწრება და აზრთა გაზიარება, რესურსების გაზიარება და დახმარება პირველადი სირთულეების დაძლევაში.
ტექნიკური პერსონალის შემთვევაში, მნე აცნობს ახალ თანამშრომელს სკოლის გარემოს და ეხმარება მათ, შესასრულებელი საქმიანობის შესახებ ინფორმირებით.
სკოლა თანამშრომლებისათვის პერიოდულად აწყობს ექსკურსიებს, რაც კიდევ ერთი ნიმუშია ინტეგრაციისა.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა ახალისებს პერსონალის განვითარებას და წარმატებებს. უცხადებს მათ მადლობას, ახალისებს მცირეფასიანი ჯილდოთი. აღნიშნული რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა ინიციატივებს პროფესიული განვითარებისთვის, კონფერენციებში მონაწილეობასა და პროექტებში ჩართვაში.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი,
- კათედრის სამოქმედი გეგმა,
- გაკვეთილზე დასწრების ოქმი
- ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიოტიკის დოკუმენტი“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, რომელიც ითვალისწინებს ძლიერი მხარეების შენარჩუნებას, ხოლო გასაუმჯობესებელი საკითხების წინ წამოწევას, მათი გაძლიერების დაგემვას ციკლურობის პრინციპით: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. სკოლას ესმის, რომ ამ პრინციპის აღნიშნული თანმიმდევრობით განხორციელება აუცილებელია შედეგის მისღწევად, რომ ყოველი წინსვლა ეფუძნება დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას და ყველა რგოლის თავიდან

გავლას გასაუმჯობესებელი საკითხების გათვალისწინებით. სკოლას აქვს რესურსი, თანმიმდევრულად განახორციელოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპი,რასაც რეალურად ახორციელებს კიდეც.

სკოლაში ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, დამტკიცებულია დებულება.

ისინი, კათედრებთან ერთად მუშაობენ კურიკულუმის შესრულების ხარისხზე; ხარისხის ჯგუფი და კათედრერბი პერიოდულად ახორციელებენ პროცესების შეფასებას, წინასწარი ინფოორმირების პრინციპის დაცვით.

მაგალითად, სკოლამ, გარდა სასწავლო პროცესის შეოწმებისა, განახორციელა მედიკამენტებისა და პირველადი დახმარების ნივთების მონიტორინგი. მიღებული გადაწყვეტილებები აისახება წლის ბოლოს განხორციელებულ შეფასებაში და შედეგებს გამოიყენებენ მომავალი კურიულუმების შედგენაში, სამედიცინო ინვენტარის ან მედიკამენტების შეძენის დაგეგმვაში.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების დოკუმენტი**

მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მიერ შექმნილ ამავე სახელწოდების მქონე დოკუმენტში. დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას **მმართველობითი პროცესების** შესახებ, როგორიცაა:

სტრატეგიული დაგეგმვა; წლიური დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა;

ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება; სასწავლო პროცესის ორგანიზება.;

დამხმარე პროცესების მართვა: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლის სერვისებისების განხორციელება; საბიბლოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსების მართვა; უსაფრთხოება; საქმისწარმოება და სსვა. ყველა რგოლის საქმიანობა გაწერილია და შესაბამისი პასუხისმგებლობით ხორციელდება. მაგ. სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელია დაგეგმვის ჯგუფი, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელებაზე-ბიბლიოთეკარი; ფინანსური რესურსების მართვაზე- ბუღალტერი; დირექტორი და სხვა.

ადგილზე დოკუმენტების შესწავლამ და პროცესების დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სკოლა გემაზომიერად ახორციელებს ზემოთ დასახელებული დოკუმენტით გაწერილ პროცესებს.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა და დოკუმენტი**

. სკოლას აქვს გამართული გასაჩივრების მეექანიზმი. ასევე, იყენებს შინაგანაწესს. სკოლის შინაგანაწესის 22- ე მუხლში ვკითხულობთ, რომ სკოლაში შემოსული ნებისმიერი განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს, მიენიჭოს შესაბამისი ნომერი, განისაზღვროს ადრესატი და მასზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. საჩივრის შემთხვევაში უნდა ჩაერთოს სკოლის დისციპლინირი კომიტეტი, რომელიც კოლეგიალური ორგანოა, რომელიც სკოლას შექმნილი აქვს.

ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესშიც გათვალისწინებულია დასაქმებულების შრომის პირობების დაცვის წესები (მუხლი 9), დასაქმებულის დისკრიმინაციის შემზღუდავი მუხლები, თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები.
თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები.
თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, გასაჩივრების დეტალურ პროცედურებს,
სადაც ასახულია გასაჩივრების წესი და უფლებების დაცვის მექანიზმები.
ინდიკატირი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტკის დოკუმენტი
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები
- შინაგანაწესი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმებ**

სკოლა, მართვის პროცესებთან დაკავშირებით, მუდმივად აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას. ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირი ხორციელდება დამიგებელთა მეშვეობით და პირისპირი შეხვედრებით. ასევე აქტიურად იყენებენ სოციალური ქსელის „ჩატს“. სკოლა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით მშობელთა ინფორმირებისთვის ეპიზოდურად იყენებს ელექტრონული ჟურნალის შესაძლებლობებს. სკოლის I სართულზე არის საინფორმაციო დაფა, სადაც თავსდება ახალი ინფორმაცია, საჯაროდ გაზიარების მიზნით. სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს “თიმსის” პლატფორმასაც. გარდა ამისა, შინაგანაწესით გათვალისწინებულია მშობელთა დღე (პირისპირ შეხვედრა) ყოველ პარასკევს, 13 საათიდან 17 საათამდე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულში: სამეურვეო საბჭოში, პედაგოგიურ საბჭოში, მოსწავლეთა თვითმმართველობაში შესაბამისი წესით ჩართულია სკოლის საზოგადოება. კოლეგიური ორგანო-სამეურვეო საბჭო-3 მშობელი, 3 მასწავლებელი,1 მოსწავლე-მოსწეავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. რესურსცენტრის წარმომადგენელი-(სათათბირო ხმის უფლებით).
 აღნიშნული დასტურდება ზეპირი ინტერვიუს ფორმით და სამეურვეო საბჭოს ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია:

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- ზეპირი ინტერვიუ
- სკოლის სოციალური გვერდი
- შინაგანაწესი
- ფოტოები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლას აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი; დაწყებული აქვს პროცესები უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად. სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაშიც რეალისტური ვადებია მითითებული

სკოლამ მიმართა უფლებამოსილ უწყებას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. მას შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი არა აქვს დასახელებული პრობლემის გადაჭრის ვადები, რაც აუცილებლად უნდა განახორციელოს.

სკოლას არა აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, თუმცა დაწყებულია მუშაობა ამ მიმართულებით. კერძოდ, სკოლის მიმართვის საფუძველზე, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულია წერილობითი დასტური, სკოლამ მიმართოს აკრედიტებულ ორგანიზაციას, რომელიც მოამზადებს დასკვნას შენობის უსაფრთხოების შესახებ. რაც შეეხება სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ პრობლემის აღმოსაფხვრელ ვადებს, ძალიან დიდი პერიოდია აღებული, ვინაიდან მოიცავს 2026 წლის 1 დეკემბრიდან 2028 წლის 1 დეკემბრამდე დროს. შენობის მდგრადობის დასკვნის მომზადება სკოლამ უნდა განახორციელოს გონივრულ ვადაში და ასევე გონივრული ვადა ასახოს შესაბამისობის გეგმაში.

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. მას ამ მიზნით შექმნილი და დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების დაცვის წესი. თვალსაჩინოდ გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, სახანძრო ფარი, ცეხლმაქრები . შენობა მხოლოდ ნაწილობრივ აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. სკოლა არ არის აღჭურვილი ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, რომლითაც კონტროლდება, როგორც გარე, ასევე- შიდა პერიმეტრები; სკოლის მიერ შემუშავებულ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი არ არის პერიოდი, თუ როდის მოახერხებს სკოლა აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ ჰყავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის „სკოლის დირექტორის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსაზღვრული პირის გადამზადების წესის დამტკიცების შესახებ N65/ნ ბრძანების შესაბამისად განსაზღვრული გადამზადებული პირი .

სკოლის შესასვლელში არ არის განთავსებული რეგისტრაციის ჟურნალი, რომელიც დანომრილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს. არ ხდება ვიზიტორთა რეგისტრაცია.

სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის დაცვაზე.

დამრიგებლების მიერ სისტემატიურად ხდება სკოლაში არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და მიზეზის მშობლეთან დადგენა სატელეფონო ზარის საშუალებით.

სკოლის მიერ შემუშავებულია უსაფრთხოების დებულება. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაში ჩართულია სკოლის საზოგადოება. შემუშავებულია მორიგეობის განრიგი.

სკოლას, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო.

თვალსაჩინო ადგილზე აქვს გამოკრული ცხელი ხაზის ნომერი "112".
სკოლის ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სავალდებულო ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის და ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ.

სკოლას მიეცა რჩევა: ხელშეკრულება გააფორმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.
სკოლას მიეცა რჩევა: აწარმოოს ვიზიტორთა რეგისტრაცია სარეგისტრაციო ჟურნალში.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უფლებამოსილ ორგანოსთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციებშის მართვის გეგმა.
ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა წამოაჩინა ხარვეზები, კერძოდ:
ხარვეზი: მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დასკვნა.
ხარვეზი: უფლებამოსილ უწყებასთან შეათანხმოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
ხარვეზი: სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის ვიდეო კამერებით აღჭურვა

ვიზიტის შემდეგ : სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული დასაბუთება, რომლითაც დასტურდება, რომ 2027 წლის 4 ივლისისათვის სკოლა უზრუნველყოფს:

ა. მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დასკვნა.
ბ.უფლებამოსილ უწყებასთან შეათანხმოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
გ. შენობა-ნაგებობის ვიდეო კამერებით აღჭურვას.

რეკომენდაცია: სკოლამ დათქმულ ვადში (2027 წლის 4 ივლისი) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დასკვნა.
რეკომენდაცია სკოლამ დათქმულ ვადში (2027 წლის 4 ივლისი) უფლებამოსილ უწყებასთან შეათანხმოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
რეკომენდაცია: სკოლამ დათქმულ ვადში (2027 წლის 4 ივლისი) უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის ვიდეო კამერებით აღჭურვა

ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში სამედიცინო კაბინეტი ფუნქციონირებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში

სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისად.
სკოლას აქვს პირველადი დახმარებიათვის ყველა საჭირო ინვენტარი, მედიკამენტები.
სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. აღნიშნული ხორციელდება სკოლის ექიმის მიერ, რომელიც არ არის კანონის შესაბამისად სერტიფიცირებული.

რეკომენდაცია: სკოლამ, არგუმენტირებული დასკვნის შესაბამისად გაწერილ ვადებში (2026 წლის 10 ივლისი), უზრუნველყოს კანონის შესაბამისი, კვალიფიციური, სერტიფიცირებული ექიმის შერჩევა.

ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ: მორიგე მასწავლებელი, დარაჯი, დამლაგებელი. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი თვალსაჩინოდ არის გამოკრული. საზოგადოებაში ქცევის წესები გამოკრულია დერეფანში, საკლასო ოთახებში. თვალსაჩინოდ არის გამოკრული ცხელი ხაზის ნომერი, პასუხისმგებელი პირისა და დირექციის წევრების ტელეფონის ნომრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას ცალკე დოკუმენტად გაწერილი აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოზე ზრუნავენ: სკოლის ექიმი, კლასების დამრიგებლები, პედაგოგები. სკოლაში არ ჰყავთ ფსიქოლოგი, მაგრამ სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ნაწილობრივ, ხორციელდება აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის კონტროლს. ცალკე გაწერილი დოკუმენტი ეხმარება სკოლას გეგმაზომიერად ჩაატაროს საუბრები სასკოლო საზოგადოებასთან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს მნიშვნელობის შესახებ. პრობლემის შემთხვევაში, სწარაფად და მარტივად დასახოს პრევენციის გზები; აქტიურად ჩართოს ყველა რესურსი, როგორც სკოლაში, ისე-სკოლის გარეთ (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, გარედან მოწვეული კვალიფიციური პირი- ტრენერი, რომელიც გადაამზადებს კლასის დამრიგებლებს კლასის მართის მიმართულებით მ/შ დისტანციურადაც) .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. . სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის შენობაში მდებარე სველ წერტილებში არის წყალი, თხევადი საპონი, ხელსახოცი ქაღალდები. სკოლის შენიობა არის სარემონტო, თუმცა ყველგან იგრძნობა მზრუნველი ხელი, წესრიგი, სისუფთავე. სკოლის ეზო არის მოწესრიგებული, ბალახი გათიბულია, მცენარეები-მოვლილი. ეზოში მდებარე მდებარე საპირფარეშოებში არის წყალი, თხედადი საპონი, ხელსახოცი. დაცულია ჰიგიენური ნორმები.
სკოლის ჰიგიენას იზრუნველყოფენ დამლაგებლები და ექიმი. ფიგიენას იცავ სრულად სკოლის საზოგადოება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი და უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას ქალაქ წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურსცენტრში დასაქმებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის რეკომენდაციის გათვალისწინებით. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ მონაცემებში დაფარულია პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.
განსაზღვრულია დოკუმენტებზე წვდომის უფლების მქონე კონკრეტული პირი/ პირები " eflow" და "e-shool" მონაცემთა ბაზებში. ასევე დაცულია ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირებული ჩანაწერები. მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს, საქმისმწარმოებელს .
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლა უსაფრთხოების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას პერიოდულად ახდენს, მაგრამ მას არ აქვს სისტემური ხასიათი . ამ მიმართულებით იყენებს რესურსცენტრის რეკომენდაციებს. სკოლა იყენებს ანტივირუსულ პროგრამას ინფორმაციის დაცვის მიზნით; ასევე, ბლოკავს არამიზნობრივ საიტებს, ინახავს მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის (მაგ.ბრძანებებს) ასლებს, ატარებს სპეციალურ, კანონის შესაბამისად აკინძულ და დანომრილ წიგნში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა უსაფრთხოების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას პერიოდულად ახდენს. ამ მიმართულებით მონიტორინგს ახორციელებს სპეციალურად გადამზადებული პირი. სკოლა იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს, რომლის შემადგენლობაში, გარდა სკოლის სხვა წარმომადგენლებისა, შედის გადამზადებული პირი და რესურსცენტრის წარმომადგენელი. სკოლა განაცხადში აცხადებს მზაობას, რომ სასწავლო წლის ბოლოს განახორციელებს პროცესების სისტემატურ შეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ დოკუმენტები;
- სკოლის შენობის მდგრადობის მოპოვების მიზნით ნაწარმოები წერილები
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოსაპოვებელი დოკუმენტები
- ვიზუალური დათვალიერება;
- ზეპირი ინტერვიუ
- დარაჯის ხელშეკრულება
- საქმისწარმოების წესი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო N47.11.46.004 მისამართზე : ქ. წალენჯიხა; ლ.ქიჩელის ქ.N89; მესაკუთრე-სახელმწიფო; მოსარგებლე: სსიპ-ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლა. შენობა არის ორსართულიანი, გათვლილია 140 მოსწავლეზე, საჯარო რეესტრის ამონაწერით ეზოს ფართი შეადგენს 5945 კვ.მ , რაც ვიზუალურად დასტურდება, შენობის ფართობი არის 601.0 კვ,მ. , გარე სველი წერტილი 31.64 კვ. მ. სკოლას აქვს საკმარისი საკლასო ოთახები (13) განაყოფის ოთახები-2, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული მოედანი, ექიმის კაბინეტი, დირექციის და ადმინისტრაციის კაბინეტები, , ცველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის შენობის პირველ სართულზე, ადაპტირებული სველი წერტილი შენობის პირველ სართულზე, ეზო. ყველა კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, აქვს პროექტორი, ეკრანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას შემუშავებული აქვს საერთო სივრცეებით სარგებლობის წესები. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 5 კომპიუტერი. კლასები არ არის მრავალრიცხოვანი (კლასებში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არის 10 , ამდენად, ამ ეტაპზე, ტექნიკის ეს რაოდენობა დამაკმაყოფილებელია. სკოლას ავტორიზაციით მოთხოვნილი ჰყავს 140 მოსწავლე. მოსწავლეთა ამ რაოდენობას გასწვდება სკოლის არსებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური საშუალებები. სკოლას აქვს პატარა სივრცე, სადაც განთავსებულია საბუნებისმეტყველო საგნებისათვის საჭირო რეაქტივები და მულაჟები. მათი გამოყენება ხდება

საკლასო ოთახებში., მასწავლებლები ცდილობენ, ვიდეორესურსებით შეავსონ ლაბორატორიის სინაკლულე, ან, ღია სივრცეში ჩაატარონ უსაფრთხო ცდები. ასევე, საკლასო სივრცეში გამოიყენონს მულაჟები, ხელნაკეთი გრძელვადიანი რესურსები. სკოლას არა აქვს სპორტული და სააქტო დარბაზები, თუმცა, აქვს ღია სპორტული მოედანი. ზამთრის პერიოდში იყენებენ სკოლის დერეფანს, სადაც განთავსებული ჩოგბურთის მაგიდა, ჭადრაკისა და შაშის სათამაშო კუთხეები. ღონისძიებებისათვისაც იყენებენ დერეფნის მონაკვეთს, შედარებით დიდი საკლასო ოთახს, სკოლის ეზოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

. სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკა განთავსებულია სხვადასხვა სივრცეში, კერძოდ, კომპიუტერების ლაბორატორიაში, დერეფნის მონაკვეთში, სამასწავლებლოში, ვინაიდან სკოლას ცალკე სივრცე,რომელსაც დაუთმობს ბიბლიოთეკას, არა აქვს.სკოლაში არის წიგნადი ფონდი, თუმცა, არ არის შესაბამისად დანომრილი და ბეჭედდასმული. რესურსების კატალოგი სრულად არ არის ნაწარმოები. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სკოლის საზოგადოებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკარი პერიოდულად თანამშრომლობს სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან, კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან ერთად ჩაატარა ღონისძიება: „პოეზია უპირველს ყოვლისა“. წალენჯიხის თემთან ერთად ჩაატარა პოეზიის საღამო, სადაც მოწვეული ჰყავდათ ადგილობრივი პოეტი ქალი ლია ანთია. ვინაიდან სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი, აღნიშნული საღამო ჩატარდა ღია სივრცეში-სკოლის ეზოში.

სკოლას მიეცა რჩევა: სრულად აწარმოოს წიგნადი ფონდის კატალოგი, სრულად დანომროს მხატვრული ლიტერატურა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

   ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით, სკიოლამ უზრუნველყო პანდუსის მოწყობა. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წეტილი. რესურს ოთახისათვის განკუთვნილი ინვენტარი განთავსებულია პატარა სივრცეში. სკოლის პირველი სართული ადაპტირებულია. ყველა აუცილებელი კვანძი (ადაპტირებული სველი წერტილი, სივრცე სტემ ლაბორატორიისათვის, სივრცე სპორტული აქტივობისათვის) განთავსებულია პირველ სართულზე.

   სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე, რომელსაც არა აქვს გადაადგილების პრობლემა. სსსმ მოსწავლე შეფასებულია მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. მისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. ინკლუზიური განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესია, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროება. სსსმ მოსწავლე პერიოდულად ფასდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. სსსმ მოსწავლე ჩართულია სასკოლო სახელოვნებო და სპორტულ აქტივობებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის მყუდრო გარემო ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მშვიდად წარმართვას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესისთვის დანიშნული საჭირო სივრცეები : მოვლილი ეზო, ღია სპორტული მოედანი, საშუალო ზომის ნათელი საკლასო ოთახები, ფართო დერეფნები, კომპიუტერული ლაბორატორია, მოწესრიგებული სველი წერტილები, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო,- ეს ყველაფერი ქმნის მოსწავლის მხარდაჭერის პირობას და ხელს უწყობს ფიზიკურ სიჯანსაღეს, თანამშრომლობითი და გუნდური უნარების განვითარებას. სკოლა ხშირად ატარებს კურიკულუმის მიღმა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის აქტივობებს. მოსწავლეებს აქვთ სივრცეები თანმშრომლობისა და საკუთარი იდეების რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკის დებულება
- ვიზუალური დათვალიერება
- ფოტომასალა
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; აზომვითი ნახაზი
  სკოლის სოციალური გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას. სკოლას მიღებული აქვს 1 პროექტორი 2 პრინტერი და 2 ლეპტოპი., ასევე-4 ლეპტოპი დაწყებითის მასწავლებლებისათვის, 5 კომპიუტერი ლაბორატორიისათვის, 2 კომპიუტერი დირექტორისა და საქმისმწარმოებლისათვის. სკოლა სრულად არის დაფარული ინტერნეტ ქსელით. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლისთვის. ტექნოლოგიებს იყენებენ საგაკვეთილო პროცესსა და არაფორმალურ მუშაობაში (პროექტების მოსამზადებლად, პრეზენტაციისათვის და სხვა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიების სასწავლო და სამუშაო პროცესებში გამოყენების არეალის გაზრდას. სკოლას ჰყავს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომელიც ეხმარება /ფასილიტაციას უწევს მოსწავლეებს და მასწავლებლებს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენაბაში. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რათა, კომპიუტერული ტექნიკა ეფექტიანად იქნას გამოყენებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების გეგმა-გრაფიკი;
- ციფრული განვითარების გეგმა

- *ვიზუალური დათვალიერება*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, დოკუმენტების შესრულების, კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და საქართველოს მთავარობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს, მათ შორის: სკოლის მართვაში გამოიყენება eflow, eschool, rs.ge და ელექტრონული ფოსტა , Facebook; -საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს პროფილი მართვის ელექტრონულ სისტემაში, შეტანილი აქვს მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლის მონაცემები და სკოლასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ადგილზე სისტემის ვიზუალურად დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ სკოლა ყველა ანგარიშს და ინფორმაციას დროულად აწვდიან რესურსცენტრს, დროულად აწვდიან ფინანსურ ანგარიშებს. სკოლას გამოქვეყნებული აქვს ანგარიში მაცნეს გვერდზე საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. დროულად ბარდება დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებგვერდი, მასზე განთავსებულია სკოლის ინფორმაცია. სკოლის ვებ გვერდი:https://skolebi.emis.ge/schools/1821?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%963%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
ასევე აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook) , სადაც ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, სიახლეებზე. სკოლა მათთვის საჭირო ინფორმაციას აწვდის მშობლებს ტელეფონის საშუალებით. ასევე, ყველა ძირითადი ინფორმაცია თვალსაჩინოდაა გამოკრული დერეფნებში. სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალსაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რათა სკოლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყოს სანდო და უტყუარი. სკოლას ამ მიზნით გამოყოფილი ჰყავს სპეციალური პირი, საქმის მწარმოებელი, რომელსაც ევალება სოციალურ გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება,ის პასუხისმგებელია ამ გვერდის ფუნქციონირებაზე, მას ინფორმაციას აწვდიან დირექტორი, კათედრის ხელმძღვანელები, მასწავლებლები. ინფორმაცია გამოქვეყნების წინ ყოველთვის მოწმდება. სკოლის სოციალური გვერდი ქმნის შთაბეჭდილებას მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლას აქვს ვებ გვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას მჭიდრო კომუნიკაცია აქვს სასკოლო საზოგადოებასთან. იგი იყენებს მშობლების კონფიდენციალური გამოკითხვის მექანიზმს კითხვარების საშუალებით. საჭირო ინფორმაციას ღებულობს სხვა არხებითაც: სოციალური ჩატი, მშობელთა კრება, მრჩეველთა საბჭო. მნიშვნელოვანი წინადადებები განიხილება პედსაბჭოზე. კათედრებზე აკეთებენ ანალიზს და ითვალისწინებენ მუშაობის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც არის საჯარო და ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მასზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. ვებგვერდის გაცნობის შედეგად, დადგინდა, რომ სკოლის მასზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: სკოლის მისია და მიზანი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის წესდება, მშობელთან ურთიერთობის დებულება, დისციპლინური კომიტეტის დებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, პერსონალის მართვის პოლიტიკა, საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში. სკოლამ იცის, რომ ინფორმაციის განახლება უნდა მოხდეს სისტემატურად. სკოლას აქვს სოციალურ ქსელში განთავსებული გვერდი. სოციალური ქსელის გვერდს ჰქვია სკოლის სახელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის ვებ გვერდი
სოციალური გვერდი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელება. დაგეგმვის პროცესში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ნაწილობრივ ყველას ინტერესების შეძლებისდაგვარად გათვალისწინებას. სკოლის სწორად და გამართულად მუშაობისთვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა. მისი მომზადებისას თავიდანვე განისაზღვრება: 1. სავარაუდო შემოსავლები; 2. მომდევნო წლის პრიორიტეტები; 3. სავარაუდო ხარჯები; 4. საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. სკოლას არა აქვს დიდი ფინანსური შემოსავალი. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტში ჩაშლილია წლიური აუცილებელი ხარჯები. დაგეგმვა არის რეალისტური. მის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, ქმნის ყოველწლიურ ბიუჯეტს, აკეთებს ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს. ავსებს ბალანსის ფორმებს და წარუდგენს მაკონტროლებელ ორგანოს, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშებს. შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების წესი. სკოლა ყოველი წლის ნოემბრის თვეში შეიმუშავებს შესყიდვების წლიურ გეგმას და როგორც გეგმას, ასევე შესრულების ანგარიშს ტვირთავს ePLANის გვერდზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის ბიუჯეტის ანგარიში
- 2024 წლის 10 დკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი.
- 2025 წლის ბიუჯეტი
- 2024 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების დოკუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერების დაცვა ხორციელდება შიდა რეგულაციების მექანიზმით, ასევე- სკოლის შინაგანაწესით. კლასებში შემუშავებულია ქცევის წესები. როგორც შინაგანაწესი, ისე ქცევის წესები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დასტურდება პედაგოგიური გუნდის გამოკითხვით, თვალსაჩინო მასალით. სკოლას გაწერილი აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლეთა ქცევის წესების, გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაციის გაცნობა დასტურდება საკლასო და მშობელთა კრებების ოქმებით. სკოლის დერეფანში, თვალსაჩინო ადგილზე, გამოკრულია ნომერი შინაგანაწესი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზის N 2 200 220.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლას შედგენილი აქვს შიდა რეგულაციების მექანიზმი. სკოლაში შედგენილია სადამრიგებლო პროგრამები. სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობს

შინაგანაწესს. კლასში მოსწავლეები და დამრიგებელი ერთად ადგენენ ქცევის წესებს, წესები და შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, როგორც დერეფანში, ისე საკლასო ოთახებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მოსწავლესთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. იგი შეიცავს თარიღს, მონაცემებს, ვის შორის დგება ხელშეკრულება, რა უფლებები და პასუხისმგებლობა აკისრია მხარეებს. მასში ნათლადაა წარმოდგენილი მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი. დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერება;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შექმნილი აქვს ერთიანი დოკუმენტი, რომითაც განსაზღვრული აქვს კანონმდებლობით დადგენილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი. იგი ხელმძღვანელობს "ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით" და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04"ნ"(11/012017). სკოლა აკონტროლებს მოსწავლეთა გაცდენებს. 10/20/45 დღის გაცდენის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი მოიკვლევს მიზეზს და

აღნიშნულის შესახებ წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. სკოლის დირექტორი, დამრიგებლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კანონის შესაბამისად.სკოლას 20/45 დღის გაცდენის შემთხვევა არა აქვს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესს, რაც დასტურდება წარმოდგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით; "ემისის" ბაზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებს. ფორმალური განათლების პარალელურად, სკოლა აქტიურად ახორციელებს არაფორმალურ განათლებას საკლუბო მუშაობის სახით. ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი. კლუბებს აქვთ პროგრამები, შესაბამისი დებულება, რომელშიც გაწერილია კლუბში გაწევრიანების წესი. ინფორმაცია კლუბების შესახებ ზიარდება სკოლის სოციალურ გვერდზე, ასევე, მშობელთა კრებებზე, მოსწავლეთა ზეპირი ინფორმირების გზით, სკოლის საინფორმაციო დაფაზე. მაგალითისათვის, სკოლში ფუნქციონირებს სიმღერის შემსწავლელი კლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის მუსიკის მასწავლებელი. მოსწავლეთა დიდი ნაწილი არის ჩართული ამ კლუბში და სიამოვნებით სწავლობენ სიმღერებს. ასევე, ფუნქციონირებს სამოქალაქო კლუბი, კლუბი ბუნების ქომაგი. თითოეულ კლუბში მოსწავლეთა ჩართულობა არის ნებაყოფლობითი და უფასო.
სკოლის მთელ ტერიტორიაზე: დერეფნებში, კლასებში,- თვალსაჩინოს არის გამოკრული მოსწავლეთა ქცევის წესები. დერეფანში განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის განხილული მოსწავლეთა მხრიდან მოსალოდნელი გადაცდომები და მათზე რეაგირების ფორმები. შინაგანაწესის მოსწავლეთათვის და მოსწავლეთა მშობლებისათვის გაცნობა დასტურდება კლასის კრებების ოქმებით, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით.
სკოლა მოსწავლეებს მე-5 კლასიდან სთვაზობს მეორე უცხოენას, რომელის არჩევაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმით.

სკოლა ახორციელებს ტრანსპორტით მომსახურების პროგრამას. სკოლას არა აქვს ფასიანი წრეები, ვინაიდან ამის საჭიროება არ დასტურდება. მოთხოვნის შემთხვევაში, სკოლა შექმნის ფასიან წრეებსაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია კანონის დაცვით არის გავრცელებული სკოლის პერსონალის მიერ, როგორც სკოლის სივრცეში, ისე სოციალურ გვერდზე. ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე. სკოლა ათავსებს საჯარო ინფორმაციას ვებ გვერდზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების, ამორიცხვის შესახებ;
• სკოლის შინაგანაწესი;
• სასკოლო კლუბების დებულებები;
ტრანსპორტით მომსახურების ამსახველი გრაფიკი

• მშობელთა კრების ოქმი უცხო ენის არჩევის შესახებ.

შეფასება:
◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება/ დოკუმენტი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძ. N2-50) შემუშავებული დოკუმენტი ითვალისწინებს მოსწავლის საკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პირობებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეტა ადაპტაციის წესს; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; მოსწავლეებთან შეხვედრას სწავლის პირველ დღეს.
დოკუმენტი მოიცავს წარმატებული ადაპტაციის ნიშნებს და წარუმატებელი ადაპტაციის მოსალოდნელ ქცევებს; ამავე დოკუმენტში განხილულია წარუმატებელი ადაპტაციის პრევენციის გზები; სასკოლო ცხოვრებაში დანერგილია ახალი მოსწავლეებისათვის საკოლო გარემოს გაცნობა, ასევე, იწვევენ მშობლებსაც, რათა მათ სრული წარმოდგენა ჰქონდეთ სასკოლო გარემოზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყებისთანავე ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, რაც დეტალურად გაწერილია ტრანზიციის გეგმაში. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ინვენტარით. სკოლაში მოსწავლეთათვის საინტერესო, საქმიანი გარემოა შექმნილი. პირველკლასელთა ადაპტაციის მიზნით, სწავლის დაწყებამდე სკოლა შეხვედრას უწყობს მომავალ მოსწავლეებს მშობლებთან ერთად. აცნობს მათ გარემოს, მასწავლებელს, სკოლის პერსონალს.
მობილობით გადმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი ეცნობა და აცნობს თანაკლასელებს, ათვალიერებინებს სკოლის ინფრასტრუქტურას და უხსნის, როგორ გამოიყენოს გარემო ოპტიმალურად, სკოლა გეგმავს , შეიმუშაოს კითხვარი ახალი მოსწავლის უკეთ გასაცნობად, რომელსაც მშობელი ან თავად მოსწავლე შეავსებს (ასაკის გათვალისწინებით).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მოსწავლეს გონივრულ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს ფორმალური, დამატებითი, არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლა, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, მნიშვნელოვან დროს უთმობს სასკოლო გარემოს შეძლებისდაგვარად კეთილმოწყობას, რათა

თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს საჭიროებიდან გამომდინარე მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
მოსწავლეთა, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე, სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლის ბიბლიოთეკარი ახორციელებდეს პროექტებს სხვადასხვა კათედრასთან ერთად.
მოსწავლეები არიან ჩართულნი ღონისძიებებში.
მოსწავლეები საჭირო ინფორმაციას ღებულობენ კარიერული განვითარების მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს მოსწავლეს კანონით დადგენილი დროის სრული დაცვით. კლასის, საფეხურის დაძლევის, ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გამოცემულია ვადების და კანონმდებლობის დაცვით. სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მათ აქვთ უფლება ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდის ჩაბარების და გამოცდის ჩატარებამდე მოსწავლეებს უტარდებათ კონსულტაციები. დამრიგებლები მოსწავლეებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების სისტემას, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებს, სემესტრული და წლიური შეფასების წესს, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას, ფორმასა და აღდგენის წესს. სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლიდან განახორციელოს აქტიური შეხვედრები მოსწავლეებთან ისეთი საკითხების განხილვისთვის, როგორიცაა: ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, რათა მოსწავლეებში მოხდეს ამ თემებზე ცნობიერების ამაღლება და თემების პოპულარიზაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. მათი მხარდაჭერის მიზნით, სკოლა ცდილობს გაამრავალფეროვნოს სასწავლო პროცესი. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლა ცდილობს მოსწავლეებმა საჭირო უნარ-ჩვევები შეიძინონ როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების გზით. არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, სკოლა, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს არაფორმალური სივრცეების მოწყობას, კლუბის შექმნას, სასკოლო პროექტებით სწავლებასა და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ერთობლივი პროექტების განხორციელებას. სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული ეკო კლუბი, სამოქალაქო, სპორტული და მუსიკის მოყვარულთა კლუბები.

მოსწავლეთა ინტერესების, სურვილებისა და პრობლემების იდენტიფიცირებისათვის ტარდება გამოკითხვები. მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი ჩართულია სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში, მოსწავლეთა ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერისთვის მათი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოს აცნობს მათ მიერ დაგეგმილ ინიციატივებს. სასკოლო პროექტის პრიორიტეტული თემის შერჩევისას გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა და შედეგად, სკოლის რესურსებით, მოეწყო გარე სპორტული მოედანი, ბუნებრივი საფარით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ახორციელებს საინტერესო პროექტებს. პროექტების დასრულების შემდეგ ახორციელებენ უკუკავშირს, ძირითადად, ზეპირად, ხოლო, პროექტების დასრულებისას, წერილობითაც. მხარდაჭერა მოიცავს, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მიმართულებას. დასრულების შემდეგ, მოსწავლეები საუბრობენ, რა მოეწონათ, რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ სამომავლოდ, რომელი კლუბის შექმნა სურთ. მაგალითად, მოსწავლეთა დიდი სურვილის გათვალისწინებით, სკოლაში გაიხსნა მუსიკის მოყვარულთა კლუბი. მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სკოლის დირექციამ კათედრებს დაავალა მომავალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვების ჩატარება, რათა შეძლონ მრავალფეროვანი მომსახურების შეთავაზება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მეტად წაახალისოს მოსწავლეთა ინიციატივები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- კლუბებში გაწევრიანების სარეგისტრაციო ფორმა
- პროექტი გზა ჯანმრთელობისაკენ
- დამრიგებლის ომები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; კლასის საათზე საბაზო და საშუალო საფეხურზე დამრიგებლები განიხილავენ შემდეგ თემებს: მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიის არჩევის მნიშნელობაზე; პროფესიათა მახასიათებლებისა და კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელთათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გააზრება; სტერეოტიპების გავლენა და მათი მოქმედება; პროფესიათა მახასიათებლების გაცნობა, კონკრეტული პროფესიის როლის გააზრება; სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს პროფესიული ორიენტაციის მიზნით. ინფორმაციას ავრცელებს დამრიგებელთა მეშვეობით, მშობელთა კრებებზე, სოციალური გვერდის საშუალებით, ან საინფორმაციო დაფაზე განათავსებს ინფორმაციას ასეთი შეხვედრების შესახებ. სკოლას მჭოდრო თანამშრომლობა აქვს ადგილობრივ პროფესიულ კოლეჯთან „ლაკადა“ და **სეუ**სთან.

სკოლას შემუშავებული აქვს პროფორიენტაციის გაწევის წესი და სამოქმედო გეგმა. კოლეჯი პირისპირ შეხვედრის ფორმატით, ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს იმ სერვისების შესახებ, რომელთაც ისინი ახორციელებენ, ატარებენ პრეზენტაციებს კონკურენტუნარიანი პროცესიების შესახებ.ექსკურსიის ფორმატში ვიზუალურად ათვალიერებინებენ სასწავლებლის გარემოს. ერთობლივად ახორციელებენ მცირე პროექტებს, როგორიცაა, მარტივი ელექტრონულ ხელსაწყოების შეკეთება, რათა გაზარდონ პროფესიისადმი დაინტერესება მოზარდებში.

სეუ პეროდულად ხვდება სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებს და პირისპირ აწვდის ინფორმაციას მათ სამომავლო პროფესიების შესახებ, რათა არჩევანი გაუადვილდეთ სამომავლოდ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების, საკუთარი შესაძლებლობებისა თუ ინტერესების გააზრების მიზნით აწყობს შეხვედრებს, როგორც სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანებთან, ისე სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებთან. წარმატებული კურსდამთავრებულები, თავიანთი პრაქტიკიდან გამომდინარე, უზიარებენ მოსწავლეებს, რამდენად წარმატებულად აირჩიეს პროფესია და ესაუბრებიან არჩეული პროფესიის უპირატესობაზე.

სისტემატიურად აწვდიან სკოლას ინფორმაციას აბიტურიენტებისთვის შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს დამრიგებელთა მეშვეობით, მშობელთა კრებებზე, სოციალური გვერდის საშუალებით, ან საინფორმაციო დაფაზე განათავსებს ინფორმაციას ასეთი შეხვედრების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა აფასებს წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების ხარისხს და მიზნობრიობას. სკოლა სამომავლოდ გეგმავს გამოიყენოს კარგი პრაქტიკა ადგილობრივ პროფესიულ კოლეჯთან, აპირებს, განაგრძოს თანამშრომლობა მასთან.
სკოლა გეგმავს მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების დასადგენად სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატაროს გამოკითხვა რომელი პროფესიები აინტერესებთ, სად სურთ ვიზიტები, ვისთან ისურვებდნენ შეხვედრებს. სკოლა სასწავლო წლის ბოლოს მოამზადებს განხორციელებული აქტივობის რეფლექსიებს, ასევე კურსდამთავრებულების გამოკითხვას, რომლითაც წარმოაჩენენ, რამდენად წარმატებულად აირჩიეს პროფესია და როგორ დაეხმარა სკოლა ამ არჩევანის გაკეთებაში. მიღებული მონაცემების შეფასების საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა
- პროფორიენტაციის გაწევის წესი;
- პროფესიული განათლება დანართიN76
- კლუბებში განხორციელებული პროექტები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაიწერილია მუშაობის პროცედურები და სამოქმედო გეგმა. ამჟამად სკოლაში ირიცხება 1სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე მოსწავლე. სკოლაში შეუფერხებელად არის შესაძლებელი მოსწავლის ჩარიცხვა; სასკოლო გარემოს პირველი სართული არის ადაპტირებული, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, ასევე- ადაპტირებული სველი წერტილი, სკოლას აქვს პატარა სივრცე რესურსოთახისათვის. სსსმ მოსწავლისათვის შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლა ორიენტირებულია შექმნას პოზიტიური, უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც ძალიან მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლის დროული იდენტიფიცირება და პირველადი მართვის გეგმის შედგენა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების საფუძველზე, შემუშავებული აქვს სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. რომელიც იქმნება სასწავლო წლის დასაწყისში. ინკლუზიური განათლების ცნობადობის და სოციალური კულტურის ამაღლების მიზნით, სკოლაში ტარდება ღონისძიებები. სკოლის სსსმ მოსწავლე აქტიურად არის ჩართული სასკოლო აქტივობებში. ხორციელდება ისგ ჯგუფის შეხვედრები, სადაც განხილულია მოსწავლის წინსვლის ხელშეწყობის აქტივობები, მშობელთან ინფორმაციის გაზიარება, შიდა მონიტორინგის დოკუმენტები, სპეც. მასწავლებლის რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლის რეგულაციები
- ისგ გეგმა და ოქმები
- სსსმ მოსწავლის ინდ გეგმა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.
- შიდამონიტორინგის ოქმი
- მშობლის ბარათი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას საკლუბო მუშაობის ფორმით. საკლუბო მუშაობის შინაარსი და სამომედო გეგმა გაწერილია კლუბების დებულებაში, ასევე, იქვე გაწერილია მოსწავლის კლუბში გაწევრიანების წესი.
სკოლაში, იჯარის ფორმით, ბოლო წლებში არ გაცემულა ფართი, ვინაიდან არ იყვნენ დაინტერესებული პირები მეწარმეთა ან ფიზიკურ პირთა სახით. არც გახანგრძლივებული სწავლება მიმდინარეობს, ვინაიდან მშობელთა მხრიდან დასახელებულ სერვისზე მოთხოვნა არ არის. სკოლაში არ ფუნქციონირებს კვების სერვისი, ვინაიდან არ არის დაინტერესებული მეწარმე, ვინც ამ სევისს განახორციელებს, სკოლას თავის მხრივ აქვს მცირე ფართი, სადაც შეუძლიათ მოსწავლეებს შინიდან წამოღებული საკვების მიღება. სკოლა, მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, ახორციელებს ტრანსპორტით მომსახურების პროგრამას დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს ტრანსპორტით მომსახურების შესაბამისი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურება (საკლუბო მუშაობა) ხორციელდება კანონის შესაბამისად, ნებაყოფლობის პრინციპით. სკოლის მიერ განხორციელებული არასავალდებულო მომსახურება ხელს უწყობს მოსწავლეთა კულტურულ აღზრდა-განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   სკოლას გაცემული არა აქვს ფართი იჯარის წესით,ვინაიდან არ არსებობს დაინტერესება მეწარმეთა მხრიდან. სკოლაში არსებული კლუბების მუშაობა ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლა ახორციელებს ტრანსპორტით მომსახურებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მძღოლის ტაბელი
კლუბის დებულება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი- დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი- საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი- საშუალო საფეხურის	**☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათი ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეიქმნა ჯგუფი სასკოლო საზოგადოებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელმაც იმუშავა სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ეს თავისთავად ცხადყოფს, რომ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოვლენა და გათვალისწინება. ასევე, გაწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები სხვადასხვა ეტაპზე, როგორიცაა შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და რევიზია.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად მასწავლებლები ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, აჯამებენ სწავლა-სწავლების პროცესს, გამოკვეთენ დადებით მხარეებს და განსაზღვრავენ საჭიროებებს და ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმში. კურიკულუმების შემუშავება ხდება, მასწავლებელთა ჩართულობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად, ასევე მშობელთა უკუკავშირით, რაც თითქმის ყოველდღიურად ხდება. სასწავლო წლის დასრულებისას საგნობრივი კათედრები განიხილავენ მიღწეულ შედეგს, რა არის გასაუმჯობესებელი და გამოსასწორებელი შემდეგი წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად. მასწავლებლები ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, და სასკოლო კურიკულუმის მიღწევის დონე ფასდება შემოქმედებითი დავალებებით გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით.

ინტერვიუს დროს სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და მატერიალური ბაზის გათვალისწინებთ. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ

სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში გააგრძელებენ სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, კათედრის მიერ საფეხურის ფარგლებში შემუშავებულია კურიკულუმები, სადაც წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ნაწილი ხელს შეუწყობს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში საფეხურის შედეგებზე გასვლას. შუალედური მიზნების მისაღწევად პრიორიტეტად არჩეულია შემოქმედებითი დავალებები, სტანდარტით გათვალისწინებული თემები რაც მოსწავლემ საფეხურის ბოლოს უნდა შეძლოს და ასევე ყველა თემაში მოახერხოს სამიზნე ცნებებზე გასვლა. ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაძლებლობების გათვალისწინებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის საინტერესო თემები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები; შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, შინაგანი მოტივაციის გაზრდას და სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათგან მოწვდილ უკუკავშირს; მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მათ მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, წინა წლის გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიმართულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებისაკენ. სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილია მიმართულებები, რომლის დახვეწასაც გეგმავს სკოლა: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. ამის მიღწევასაც გეგმავენ ახალი პროგრამების შემუშავება-დანერგვით, სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდით, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდით, მშობლებთან ურთიერთობის ფორმების დახვეწით, მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურებით, დამატებითი სერვისების განვითარებით. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელების მიზნით ისინი ახორციელებენ ურთიერთდასწრებას, პედაგოგთა თვითრეფლექსიებსა და მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლას.

სკოლის ინტერესები გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავებისას, სკოლამ საკუთარი პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებების, ადგილობრივი სასკოლო თემის მოლოდინების, ადგილობრივად ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კურიკულუმის, მისი ხედვისა და ფილოსოფიის

დანერგვას კონკრეტული სკოლის პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს სასწავლო პროცესში და ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს, რაც ასახულია ისგ-ს დოკუმენტებში.
მეორე უცხო ენის არჩევა მოხდა მშობელთა კრებაზე მშობლების სურვილის გათვალისწინებით. სკოლამ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგად გადაწყვიტა, თუ ესგ-ს რომელ პრიორიტეტულ მიმართულებაზე განახორციელებდა სასკოლო პროექტს. მიმდინარე სასწავლო წელს, სასკოლო საზოგადოების არჩევანის გათვალისწინებით, სკოლა დაწყებით საფეხურზე ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

როგორც ინტერვიუზე გამოიკვეთა, სკოლას აქვს საგნობრივ კურიკულუმებსა და თემატურ მატრიცებზე მუშაობის გამოცდილება. ასევე, აღინიშნა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, ამასთანავე, მშობლების ჩართულობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შეთახმება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად ხდება სამეურვეო საბჭოსთან და წარედგინება პედსაბჭოს დასამტკიცებლად. ასევე, აღნიშნულია, რომ კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას, რასაც იყენებენ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები, მოსწავლეები და დირექცია.
იკვეთება, რომ კურიკულუმის შექმნისა და განხორცილების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, კურკულუმის ჩარჩოში ასახულია კურიკულუმის შემუშავების შესაბამისი მასალა. მასში განსაზღვრული მიმართულებებით, თემებით, ცნებებით და ქვეცნებებით, შემოქმედებითი/შემაჯამებელი დავალებებით შეიძლება ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სამივე საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ქმნის და ავითარებს საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, დავალებები, რესურსები, რომლის საშუალებითაც აჩვენებს მოსწავლის განვითარების გზას ესგ-ის შედეგების და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. კურიკულუმის განვითარებისა და დანერგვის პროცესში აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია, რომელიც მონიტორინგს უწევს კათედრების მუშაობას. მათი ფასილიტაციით ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სკოლა იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რასაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდება. სკოლა ფიქრობს, შეიმუშავოს უკუკავშირის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება/მიღების სხვადასხვა მექანიზმები. მაგალითად, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს მიღებული შედეგებისა და მიღწევების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის. მნიშვნელოვანად განიხილავენ სადამრიგებლო ინსტიტუტის ჩართულობას. აპირებენ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად გაიწეროს და გახდეს სავალდებულო ყველა დამრიგებლისთვის სასკოლო კურიკულუმის გაცნობა მოსწავლეებისა და მშობლებისათვის, რათა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი პრინციპი - მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, რათა სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მიკუთვნებულობის განცდა.
კურიკულუმის საზოგადოებისთვის გასაჯაროება ხდება თიმისა და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, ასევე, საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის.
სასკოლო საზოგადოება სრულად იზიარებს ესგ-ის მიხედვით შედგენილ შიდა სასკოლო საგნობრივ კურიკულუმების დანერგვის აუცილებლობას, რაც დასტურდება სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან, სადაც ნათლად არის აღნიშნული სასკოლო კურიკულუმების შემუშავება-დანერგვის-განხორციელების აუცილებლობა; მოსწავლეების, ასევე მათი მშობლების აქტიური ჩართულობა სასკოლო სასწავლო და არაფორმალურ საქმიანობაში სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით – მშობელთა კრებები და ინდივიდუალური შეხვედრები, მშობლებთან ურთიერთობა მულტიმედია საშუალებებით (ელექტრონული ჟურნალი, თიმსის პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები და ა.შ.). პედაგოგების და მშობლების დროული და სწორი კომუნიკაცია გააიოლებს კურიკულუმის საფუძვლიანად განხორციელების პროცესს.
წარმოდგენილი კურიკულუმები ერთობლივადაა შექმნილი საგნობრივ კათედრაზე და განხილულია სხვა საგნობრივ კათედრებთან ერთად სასკოლო საზოგადოების მიერ. სამივე საფეხურის კურიკუკულუმებში თემები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების, დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, ღონისძიებები, პროექტები, რომელიც გაწერილია კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოებისთვის, თავისთავად მოიაზრება მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, მშობელი, მოსწავლე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. ბრძანება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
3. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
4. კათედრის ოქმები
5. მშობელთა კრების ოქმები.
6. შემოქმედებითი დავალების ბარათები.
7. პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1
8. სამეურვეო საბჭოს ოქმი N1.
9. სსგ
10. ბრძანება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ჯგუფის შექმნის შესახებ.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრას შემუშავებული აქვთ ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრაზე მოხდა კურიკულუმის ჩარჩოების შევსება, გადამუშავება-სრულყოფა. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო მოსწავლეები და მშობლები. მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით დაიგეგმა კურიკულუმის რევიზია და შეფასება. სასწავლო გეგმის დანერგვა ხორციელდება შემოქმედებითი ტიპის დავალებების შესრულების დონეზე. მასწავლებლების მიერ ხორციელდა შემოქმედებით დავალებათა მინიმალური რაოდენობა, სემესტრში მინიმუმ ერთი დავალება. რაც შეესაბამება თემების მინიმალურ რაოდენობას. საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს, აკადემიურ საჭიროებებს.

	სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრა აცნობებს სასკოლო საზოგადოებას კურიკულუმის ვარიანტს საგნების მიხედვით, შემოქმედებითი დავალების ბარათებს უგზავნიან მშობლებს სოციალური ქსელების დახურული ჯგუფებში. ატარებენ შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან სასწავლო წლის დასაწყისში. სამივე საფეხურზე სასწავლო გეგმის დანერგვა ხორციელდება შემოქმედებითი ტიპის დავალებების შესრულების დონეზე. მასწავლებლების მიერ ხორციელდა შემოქმედებით დავალებათა მინიმალური რაოდენობა, სემესტრში მინიმუმ ერთი დავალება, რაც შეესაბამება მიმართულებების მინიმალურ რაოდენობას. საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს, აკადემიურ საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში შექმნილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის შესაბამისად ხდება სამივე საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმში ჩანს პედაგოგების კოორდინირებული მუშაობა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დასაგეგმად. დოკუმენტაციაში არის მოსწავლის და მშობლის ბარათები, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები. გასაუბრებით ცნობილი გახდა, რომ პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ასევე კურიკულუმის დანერგვის წინა წლის რეფლექსიით ხდება ახალი კურიკულუმის შემუშავება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა. მასწავლებლები გეგმავენ პროექტებს დაწყებით, საბაზაო და საშუალო საფეხურზე: „არა ენერგეტიკულ სასმელებს“ , „გზა ჯანმრთელობისაკენ“, „სკოლის ისტორია“ და ა.შ. წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმების დანართში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასაწავლო პროცესის დაგეგმვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ამ ინდიკატორში კათედრა სამივე საფეხურზე შეესაბამება მოთხოვნებს.უცხოური ენების კათედრის მიერ ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) შემუშვებული კურიკულუმები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება

	საფეხურების და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და გასაუბრების დროს კათედრის წევრების მიერ მაგალითად მოჰყვანილი შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის ეტაპების აღწერა ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში და მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ განხორიელებული აქტივობები, ღონისძიებები, კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას. ცოდნის გადაცემის პროცესი ისეა წარმოდგენილი რომ ხდება მისი კონსტრუირება, ძველზე ახლის შენება, მოსწავლეთა ინდ. საჭიროებების გათვალისწინება. კურიკულუმში სამიზნე ცნებების შემოტანა სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმას და მოქმედებას განაპიროებებს, ეს კი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს ჩანს კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც საფეხურზე შეირჩა მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია დაწყებით კლასებში ყოველი თემის ფარგლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები, საბაზო და საშუალო საფეხურზე კი სემესტრში-ერთი. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ **სწავლების სამივე საფეხურზე** შემუშავებული კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, ყოველ სასწავლო თემაში მუშავდება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება. ასევე გათვალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომა, სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და საბოლოოდ, მათემატიკის კურიკულუმები ეხმარება მოსწავლეს სწავლასა და განვითარებაში. მათემატიკის კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. მაშასადამე, მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის დაწყებითი,საბაზო და შაშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისა გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორი დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმი წარმოდგენილია იმგვარად, რომ გაითვალისწინოს სწორად დაგეგმოს მოსწავლის განვითარება და წინსვლა. მოწოდებული კურიკულუმები ადასტურებს, რომ ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. **ინდიკატორი დადასტურებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნის (ბუნებისმეტყველება, ქართული,მათემატიკა,მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები-შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. კურიკულუმის ჩარჩოებში დამატებით, ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. **ინდიკატორი დადასტურებულია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები სამივე საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზეა შედგენილი და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო საზოგადოების არჩევანის გათვალისწინებით, სკოლა სამივე საფეხურზე ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული თემატური მატრიცები და დავალებები მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. მათში გათვალისწინებულია სამიზნე ცნებები და შედეგები საფეხურებისა და საგნების მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე პედაგოგები საფეხურების მიხედვით შეიმუშავებენ საგნობრივი კურიკულუმებს. კურიკულუმებში ნათლად ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნობრივი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, შედეგების ინდიკატორები, სასწავლო თემები და საკითხები. კარგად არის დაგეგმილი გეოგრაფიის საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები. ყველა სამიზნე ცნებაა გააქტიურებული. საკითხები კარგად დაკლასტერებული, კონტექსტ დავალებებისა და დამატებითი რესურსების ჩამონათვალით, თუმცა საბაზო საფეხურზე, მე-9 კლასის ისტორიის კურიკულუმში ერთი სასწავლო თემა გამოტოვებულია და არ არის გააქტიურებული ყველა სამიზნე ცნება. ასევე საშუალო საფეხურზე, მე-12 კლასის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმები ერთ ჩარჩოთია წარმოდგენილ და დაწყებით საფეხურზე, საგან ,,მე და საზოგადოების“ საგნობრივი კურიკულუმის სამიზნე ცნებების გრაფში არის ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ცნებების ნაცვლად მითითებულია საკითხები. **რჩევა:** ა) სასურველია დაწყებით საფეხურზე გამოიყენოთ საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუში და საგან ,,მე და საზოგადოების“ საგნობრივი კურიკულუმის სამიზნე ცნებების გრაფში ასახოთ მცნებები და ქვემცნებები, ხოლო საკითხები გადაიტანოთ შესაბამის გრაფაში. ბ) საბაზო საფეხურზე, მე-9 კლასში, ისტორიის კურიკულუმში, სასურველია გაამსხვილოთ საკითხთა კლასტერი სასწავლო თემების შესაბამისად, შეავსოთ ყველა გრაფა და მისცეთ კურიკულუმს დასრულებული სახე. გ) საურველია მე-12 კლასის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმები შექმნათ ცალკე დოკუმენტებად და ცალცალკე გამოკვეთოთ ორივე საგნისთვის სასწავლო თემები , საკითხთა კლასტერები,სამიზნე ცნებები/ქვეცნებები. დ) სასურველია მე-10 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში, სასწავლო თემა სამართლებრივი კულტურაში გაამსხვილოთ საკითხთა კლასტერი, რაც გაგიადვილებთ ყველა სამიზნე ცნების დამუშავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარდგენილ კურიკულუმებში გრაფაში „თემა“ არ არის ასახული ეროვნული სასწავლო გემით გათვალისწინებული უცხოური ენის სტანდარტების შესაბამისი თემები. კათედრის წევრ მასწავლებლებს სტანდარტის შესაბამისი თემის ნაცვლად მითითებული აქვთ

	სახელმძღვანელოში მოცემული თავების დასახელებები ან გაკვეთილის ნომერი. მაგალითად: ინგლისური ენის მე-5 კლასის კურიკულუმში პირველ თემად წერია „New Country /New school/ New friends ახალი ქვეყანა, ახალი სკოლა, ახალი მეგობრები“, ან რუსული ენის მე-8 კლასის კურიკულუმში პირველ თემად წერია: „სამყარო ჩვენს გარშემო“, ასეთ თემებს როგორც ზემოთ ავღნიშნე მოქმედი ესგ არ ითვალისწინებს. ასევე უცხოური ენების კათედრის მიერ ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) სამივე საფეხურზე შემუშვებული კურიკულუმები არ შეესაბამება კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ესგ-ში მოცემულ ყველა თემატური ბლოკების და თემების დაფარვას და შემოქმედებით დავალებაში გათვალისწინებას. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავების დროს უცხოური ენების კათედრის წევრებს არა აქვთ გამოიყენებული და მიუთითებული კურიკულუმში ასახული ეროვნული სასწავლო გემით გათვალისწინებული უცხოური ენის სტანდარტების შესაბამისი თემები სამივე საფეხურზე. გასაუბრების ორივე დღეს მასწავლებლებს მიეცა მითითება და შენიშვნა ამის შესახებ მაგრამ გამოგზავნილი კურიკულუმების ბოლო ვერსიაშიც ეს შენიშვნა გათვალისწინებული არ იყო, მხოლოდ შეიცვალა ის, რომ პირველად ვერსიაში სახელმძღვანელოს თემების დასახელება დაწერილი იყო ინგლისურ და რუსულ ენებზე ბოლო ვერსიაში კი ქართულ ენაზე. ***ვიზიტის შემდეგ : სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული დასაბუთება, რომლითაც დასტურდება, რომ 2025 წლის 8 სექტემბერს სკოლა უზრუნველყოფს უცხოური ენების კურიკულუმში სტანდარტის შესაბამისი თემების ასახვას .*** **ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმეში ასახულ შემოქმედებით დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში, ღონიძიებებში, განხორცილებულ პროექტებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, ისეთების როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ნებელობა და მოქალაქეობა. მაგ, მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ ისინი ხშირად კლასის ორგანიზების ფორმად ირჩევენ ჯგუფებში

	მუშაობას ან წყვილებში, ეს კი ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ხშირად მოსწავლეებს აქვთ ისეთი პროდუქტი შესაქმენლი როგორიცაა მაკეტი, მოდელი, პოსტერი ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებას და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას, ასევე უზრუნველყოფს სწავლების პროცესი კიდევ უფრო საინტერესოდ და ნაყოფიერად წარიმართოს. საგნობრივი კურიკულუმების მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შემოქმედებითი და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას. სახელმწიფო ენის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ <u>**სწავლების სამივე საფეხურზე**</u> წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში ზუსტადაა გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს შემოქმედებითი ტიპის დავალების დახმარებით განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი ტიპის დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების (კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, თანამშრომლობის და სხვა) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი ასევე დადგინდა, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	მოწოდებული კურიკულუმები მოიცავს ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. საგნის მასწავლებელს გააზრებული აქვს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად, კურიკულუმში ასახულია და თემების შესწავლისას მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. გარდა კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებებისა, სკოლა ახორციელებს სხვა სახის შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რომლებიც ასევე შუალედურ მიზანს ემსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგანმანათლებლო რესურსი, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები განსაზღვრულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით. სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში აუცილებელ მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია: წიგნადი ფონდის გამოყენების წესი, საინვენტარიზაციო აღწერის ოქმი, სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმს თანდართული აქვს რესურსების ჩამონათვალი, საგნობრივი კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ჰიპერლინკები. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პედაგოგები იყენენ მრავალფეროვან რესურსებს, რითაც უადვილდებათ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ ორივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა) შემუშვებული კურიკულუმები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. ეს რესურსებია: პირველ რიგში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებით სასწავლო რესურსებად კურიკულუმში მრავლად არის ე.წ. „ლინკები“ (ელ. რესურსების მისამართები) რომლების ზუსტად არის მორგებული სასწავლო თემას, მიზნებს, აგრეთვე მასწავლებლები ფართოდ იყენებენ სხვადასხვა აუდიო ჩანაწერს, როგორც სამინისტროს მიერ მიწოდებულ (სახელმძღვანელოს ახლავს აუდიო ჩანაწერები) აგრეთვე თავადაც პოულობენ ინტერნეტში ამ აუდიოჩანაწერებს. სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური ბაზა (კომპიუტერები, პროექტორები და ა.შ) რომ ზემოდ ხსენებული რესურსები სრულად იყოს გამოყენებული სასწავლო პროცესში

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. სახელმძღვანელოს ტექსტების პარალელურად დამატებით ტექსტებთან ერთად მოცემულია ელექტრონული ბმულებიც. მაგალითად, პირველი კლასის კურიკულუმში ძირითადი ტექსტის ნ. კუპრავას მოთხრობის „მე პირველკლასელი ვარ“ დამატებით სასწავლო რესურსად შემოქმედებით დავალებაზე სამუშაოდ მოყვანილია ანიმაციური ფილმი „ბომბორა სწავლას იწყებს“. ასევე, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები: სიტყვების ყუთი, დასურათებული ბარათები, კუბიკები, გამოცანები, მოძრავი რიცხვები, ზღაპრის პერსონაჟის ილუსტრაციები, სიტყვების გამომძიებელი, გრაფიკული მაორგანიზებლები, მხატვრული ხერხების სადემონსტრაციო პლაკატი, სიტყვის სკივრი, პერსონაჟისა და ამბის რუკა. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში რესურსებსა და კონტექსტმაგალითებში ასახულია პარალელური ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები, ტელესკოლის გაკვეთილები. ასევე, რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის გრაფიკული მაორგანიზებლები და სქემები. სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად ტექსტებთან ერთად მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მართლაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებული რესურსები: შესაბამისი კლასის გრიფირებული

	სახელმძღვანელოები, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (ხანის აკადემია, EL.ge, math.ge, ტელესკოლა) წარმატებით უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლაში მასწავლებელთათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ელექტრონული რესურსები (კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები და სხვა), რომლებსაც პედაგოგები წარმატებით იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით.სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ყოველგვარი საჭირო რესურსით. სკოლას აქვს სტანდარტებით გათვალისწინებული ლაბორატორია, ასევე დამხმარე რესურსები. სასწავლო პროცესი იგეგმება ისე, რომ ორიენტირებული იყოს მოსწავლის საჭიროებებზე და მოთხოვნებზე. **ინდიკატორი დადასტურებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას, დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი

	საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში. **რჩევა** ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. **ინდიკატორი დადასტურებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში, სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესში, გამოყენებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლები გაკვეთილების დაგეგმვისას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რადგანაც თითოეული მოსწავლე განიხილება, როგორც უნიკალური თავისი უნარჩვევებით, სკოლაში მიმდინარეობს რემედიაციული აქტივობები, მოსწავლეებს, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, მშობელთან შეთანხმებით უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები, რაც დაადასტურეს გასაუბრებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოკვეთილია ინკლუზიური განათლება. სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ-ს გეგმა. საბაზო საფეხურზე საგან მოქალაქეობაში,მე-9 კლასში პედაგოგს წარმოდგენილი აქვს მოდიფიცირებული დავალება,შეფასების რუბრიკით. გასაუბრების დროს გაგვიზიარა განხორციელების პროცესი. შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვის პროცესში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შემოქმედებითი პროდუქტის არჩევის და დავალების სხვადასხვა ფორმატით წარდგენის. ასევე პედაგოგები ითვალისიწინებენ მოსწავლეების უნარებს და სწავლის სტილს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციია და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ უცხოური ენების კათედრის მასწავლებლები მოსწავლეებს განიხილავან სასწავლო პროცესის აქტიურ სუბიექტებად და გააზრებული აქვთ რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას ყველა შესაძლებლობის მოსწავლისთვის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს მაგალითები თუ როგორ აძლევენ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების და შესაძლებლობების მოსწავლეებს დიფერენცირებულ დავალებებს. სამწუხაროდ მსგავსი დავალებების არსებობა დოკუმენტალურად არ დადასტურდა მოთხოვნილი შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებში. **რჩევა:** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (კურიკულუმის ჩარჩო, თვითშეფასების კითხვარი, კათედრის სხდომი ოქმი, მოსწავლთა ნამუშევრები, ღონისძიებები, განხორციელებული პროექტები) სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებში იკვეთება, რომ სწავლების პროცესში, მასწავლებელები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს. მოსწავლეებს სთავაზობენ მის საჭიროებებზე მორგებული დავალებებს, მათ შესასრულებლად აძლევენ შესაბამისის დროს. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ასევე აქცენტი კეთდება არჩევანის თავისუფლებაზე, მაგ როდესაც აქვთ კომპლექსური დავალების პროდუქტი შესაქმნელი შესაძლოა მოსწავლემ დაამზადოს მისთვის სასურველ ფორმატში (ხელით ან ელექტრონულად, ასევე პოსტერი ან ბუკლეტი და ა.შ). სკოლაში შექმნილია მოქნილი სასწავლო გარემო რაც გამოიხატება გარე და შიდა სივრცეების მორგებით მოსწავლეთა საჭიროებებზე, რაც ასევე უზრუნველყოფს სწავლების პროცესისადმი დიფერენცირებულ მიდგომას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში კომპლექსური დავალების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობასა და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხის

	შესწავლისას: დანერგილია დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, გამოყენებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული დავალებები. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია მე-6 კლასის დიფერენცირებული დავალება არჩილ სულაკაურის მოთხრობა „ბიჭი და ძაღლის“ მიხედვით, მასში მოცემულია შემოქმედებითი ტიპის დავალების რამდენიმე იდეა. ასევე, გვაქვს დიფერენცირებული დავალებები საბაზო და საშუალო საფეხურზე, რაც საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები თითოეულ მათგანზე დაკვირვებისა და მათი თავისებურებების შესწავლის შედეგად, გეგმავენ სასწავლო პროცესს, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები, ასევე წარმოდგენილია მათემატიკაში ერთი მოსწავლის ისგ. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში აღწერილი ფიზიკური აქტივობები ხელს

	უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება ინკლუზიურობა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დააფიქსირა, რომ ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით უდგება თითოეულ მოსწავლეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და თითოეულ მოსწავლეს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას სამივე საფეხურზე. 1-4 კლასებში და მეხუთე კლასის პირველ სემესტრში მოსწავლეების შეფასება ხდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით. ზედა საფეხურებზე იყენებენ როგორც განსაზღვრელ ისე განმავითარებელ შეფასებასაც. შეფასებისას იყენებენ როგორც ზეპირ, ასევე წერილობით ფორმას, პედაგოგები სემესტრის ბოლოს თითოეულ მოსწავლეზე წერენ განმავითარებელ წერილობით კომენტარს. კათედრას შემუშავებული აქვს გაკვეთილზე ჩართულობის,

	დისკუსიის, პრეზენტაციის, პროექტის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს შეფასების რუბრიკები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებს საფეხურებზე წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა საგანში შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრის ოქმში შემუშავებული აქვთ შეფასების კომპონენტები, შემაჯამებელი დავალების შეფასების და ანალიზის რუბრიკები, დიაგოსტიკური წერის შეფასების ფორმები. არის რამდენიმე ნიმუში ესგ-სთან შესაბამისობაში შეფასების რუბრიკა. არსებულ დოკუმენტში მხოლოდ ერთი სამიზნე ცნებაა წარმოდგენილი ან/და უფრო ზოგადი ფორმატისაა. სასურველია ყველა საფეხურზე შეფასების რუბრიკებში უფრო მკაფიოდ ჩანდეს საგნის სასწავლო თემა, სამიზნე ცნება და სასწავლო თემის შესაბამის ინდიკატორებთან მიმართებით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლას წარმოდგენილი აქვს მათ მიერ შუმუშავებული სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის (განმსაზღვრელი შეფასებას სკოლა აწარმოებს ორი კომპონენტში: საკლასო დავალება და შემაჯამებელი დავალება, მაგრამ ეს რუბრიკები არის ზოგადი. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კათედრა დახვეწავს შეფასების რუბრიკებს და მასწავლებლები შექმნიან კონკრეტული დავალებისთვის უცხოურ ენაში კონკრეტული შეფასების რუბრიკებსა და კრიტერიუმებს. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რით იხელმძღვანელებენ კონკრეტული დავალებისთვის მორგებული შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ გაითვალისწინებენ პირველ რიგში კონკრეტული დავალების ხასიათს თუ რას ამოწმებს ეს დავალება (მაგ. მოსმენილის ან წაკითხულის გააზრებას თუ კონკრეტული გრამატიკული ან ლექსიკური ცოდნის შემოწმებას თუ რამე ტექსტის შექმნას ზეპირად თუ წერით) და კიდევ იხელმძღვანელებენ ესგ-ში საგნის სტანდარტში მოცემულ ე.წ. შედეგ-ინდიკატორებით. მასწავლებლების ეს გამოცდილება და ცოდნა ადასტურებს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის

	შეიქმნება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომელიც კონკრეტულ დავალებაზე იქნება მორგებული და ზუსტად აღწერს თუ რისი შეფასება უნდა მასწავლებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ, ნიმუშის სახით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მოთხოვნებს, ისინი აგებულია თითოეული საფეხურის, საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სწავლება და შეფასება მათთვის წარმოადგენს ერთ მთლიან, განუყოფელ პროცესს. სკოლა აქტიურად იყენებს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება. რაც ასევე მასწავლებელებთან გასაუბრების დროს მოპოვებული ინფორმაციით დასტურდება. ისინი იყენებენ მოსწავლეთა ურთიერთშეფასების და თვითშეფასების ფორმებსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებასა და განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მე-2 სემესტრიდან. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკები საფეხურების მიხედვით: საკლასო და საშინაო დავალების შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის დაკვირვების სქემა, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების სახით. ელექტრონულ ჟურნალში შედის განმავითარებელი კომენტარები და სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აკეთებენ სტრუქტურირებულ შეფასებას სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარე. წარმოდგენილ დოკუმენტებში როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სკოლის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია მათემატიკაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდაა გაწერილი ყოველ წელს, მათემატიკის ოთხივე მიმართულების მიხედვით შეფასების კრიტერიუმები. მოცემული შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მოცემული რუბრიკის ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ თითოეული თემების შესწავლოის შეფასების დროს. სკოლას წარმოდგენილი აქვს მათემატიკაში მე–6, მე–8 და მე–10 კლასებში თითო–თითო შემაჯამებლი შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით. ასევე წარმოდგენილია მოსწავლეების მიერ შესრულებული მოცემული შემაჯამებელი და მისი შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი , ასევე განმავითარებელი. აღსანიშნავია, რომ მუდმივად ხდება შეფასების სისტემის მოდიფიცირება, იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს ობიექტური და სამართლიანი, ითვალისწინებდეს მოსწავლის უნარებს და გამოწვევებს. შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ შეფასების სქემებზე,კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი

	აქვს ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის . **რჩევა-** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები
3. სასკოლო სასწავლო გეგმა(კონცეპტუალური ნაწილი)
4. კათედრის ოქმები
5. შემოქმედებითი დავალების ნიმუშები.
6. შეფასების რუბრიკები.
7. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
8. კლასების საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები;
9. შემოქმედებითი დავალების მოსწავლის ბარათები;
10. შეფასების რუბრიკები მათემატიკაში ;
11. მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალების (შეფასებით) ნიმუშები;
12. ინტერვიუები პედაგოგებთან.
13. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
14. დაწყებითი, საბაზო და საშალო საფეხურის კურიკულუმები
15. სასკოლო სასწავლო გეგმა
16. დაწყებითი კლასების კათედრის ოქმები
17. შემოქმედებითი დავალების ნიმუშები.

18. შეფასების რუბრიკები
19. ხარისხის მართვის უზრუნველყოფის პოლოტიკა
20. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
21. სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
22. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
23. სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
24. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
25. კლასის მშობელთა კრების ოქმი
26. შემოქმედებითი დავალებები სამივე საფეხურზე;
27. შემოქმედებითი დავალების ბარათი მშობლისათვის;
28. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა თემებისა და ცნებების მიხედვით სამივე საფეხურზე;
29. შემოქმედებითი დავალების შემაჯამებელი განმავითარებელი რუბრიკა;
30. დიაგნოსტიკური წერის რეფლექსია- მე-6 კლასი;
31. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა-მე-5-მე-6 კლასებში;
32. ღონისძიების: „ო, ენავ ჩემო“-გეგმა (I –II კლასები);
33. პროექტის: „ოქროსფერი შემოდგომის“ გეგმა (II- III კლასები);
34. ლიტერატურული წრის: „ნორჩი მკითხველი“ სამოქმედო გეგმა (VI კლასი).
35. მე-6 კლასი-დიფერენცირებული დავალება;
36. დანართი #13- განმავითარებელი შეფასება დაწყებით საფეხურზე;
37. შემოქმედებითი დავალება „კეთილი ბერიკაცი“, შემოქმედებითი დავალება მე-7 კლასში;
38. შემოქმედებითი დავალების ბარათი მშობლისათვის;
39. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ქართულში;
40. შემოქმედებითი დავალება „ბაში-აჩუკი“-მხატვრული ტექსტი და ფილმი;
41. შემოქმედებითი დავალების შეფასება სოლო ტაქსონომიით და შეფასების რუბრიკა ცნებების მიხედვით;
42. შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკა ცნებების მიხედვით;
43. სასწავლო პროექტის; „ვაჟა-ფშაველა-ბუნების მგოსანი“-გეგმა და რეფლექსია;
44. დანართი #13- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურზე;
45. განმავითარებელი შეფასება შემოქმედებითი დავალების მიხედვით;
46. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემოქმედებითი დავალების მიხედვით;
47. შემოქმედებითი დავალების ანალიზი მე-7 კლასში;
48. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება - მე-8 კლასში;

49. გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
50. შემოქმედებითი დავალება „შუშანიკის წამება“-მე-10 კლასი;
51. შემოქმედებითი დავალება „გამზრდელი“-მე-11 კლასი;
52. სასკოლო ღონისძიება: „ხევისბერი გოჩას იმიტირებული სასამართლო“-გეგმა (ახლავს ფოტომასალა);
53. სასწავლო პროექტის; „დედაენა“-გეგმა, რეფლექსია, პრეზენტაცია (ახლავს ფოტომასალა);
54. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე;
55. შემაჯამებელი დავალების ნიმუში მე-10 კლასში;
56. დიაგნოსტიკური შეფასების ანგარიშის ფორმა მე-10 კლასი;
57. განმსაზღვრელი შეფასების ვერიფიკაციის ფორმა მე-10 კლასი;
58. განმსაზღვრელი შეფასების ვერიფიკაციის ფორმა მე-11 კლასი;
59. შემაჯამებელი სამუშაოს თემები და მიზნები მე-11 კლასი;
60. შემაჯამებელი დავალების ანალიზი მე-11 კლასი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სადაც აღნიშნულია ჩასატარებელი საათების რაოდენობა, შემოქმედებითი და შემაჯამებელი სამუშაოების რაოდეობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კლასების და საგნების მიხედვით წარმოდგენილ კურიკულუმებში დაკონკრეტებულია , სასწავლო თემები, შესაბამისი საკითხები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, დამხმარე სასწავლო რესურსები. წარმოდგენილია საშუალო საფეხურზე, მე-11 კლასში, გეოგრაფიაში განხორციელების პროცესი. კურიკულუმის წარმოდგენილი დანართით შესაძლებელია პროცესის წარმოდგენა.სადაც გაწერილია აქტივობები და მოწავლეზე ორიენტირებული პროცესი. კურიკულუმით გათვალისიწნებული შედეგების მიღწევა ხორციელდება პროექტების საშუალებით. მე-11 კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს სოცილური პროექტი“სიკეთე გადამდებია“, „ჩვენი სკოლის ისტორია“ მყარი ფესვები. მტკიცებულად წარმოდგენილია პროექტის გეგმა,რეფლექსია,მოსწავლეთა უკუკავშირი და აქტივობების ფოტო-მასალა. საბაზო საფეხურზე, მე-9 კლასის ისტორიის კურიკულუმში სასწავლო თემები მხოლოდ ორია მითითებული. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის კურიკულუმში სრულად მოხდება სასწავლო თემების ასახვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს მიღებული პასუხებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე უცხოურ ენებში დაგეგმილია და მიმდინარეობს შედგენილი კურიკულუმების მიხედვით. აგრეთვე სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის შექმნის და განვითარების

	მეთოდოლოგიის დოკუმენტები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები მუდმივად განიცდიან მოდერნიზაციას (ცვლილებას) ეს დაკავშირებულია სასწავლო პროცესში გამოჩენილი ან სურთულეების გამო ან რამე სიახლეების დანერგვის გამო და ა.შ. ორივე ენაში (ინგლისური, რუსული) შექმნილ კურიკულუმებში არის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, ინტერვიუს დროს შესრულებული დავალების აღწერით მასწავლებლების მიერ დამტკიცდა, რომ კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ამ ინდიკატორში კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სამივე საფეხურზე შეესაბამება მოთხოვნებს **რჩევა:** კურიკულუმების შექმნის / მოდერნიზების დროს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენი აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე კურიკულუმების ფორმას დაუმატონ ,,შენიშვნების“ სვეტი რომელშიც ჩაწერენ იმ ცვლილებებს რომლებსაც განახორციელებენ სასწავლო პროცესის დროს ან ცალკე დოკუმენტად ჩაწერონ ეს ცვლილებები, რომლებიც იქნება გათვალისწინებული მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივეს საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერები, ქვემიზნები და რესურსები. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და გარკვეული სამიზნე ცნებების კომპლექსური დავალებებით დამუშავება რაც მიუთითებს სკოლის მზაობაზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოს სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითებზე დაყრდნობით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია სამივე საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ზუსტად და თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი შესაბამის კლასში შესასწავლი საკითხი/საკითხთა კლასტერი, მათი სწავლებისთვის საჭირო სასწავლო საგანმანათლებლო რესურსები. ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა სწავლების შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

	ინდიკატორი დადასტურებულია
ტექნოლოგიები	მასწავლებლის ინტერვიუშიც გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებთან. მასწავლებელი გეგმავს ყოველწლიურად გადახედოს და გააუმჯობესოს არსებული მიდგომა, მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორი დადასტურებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისან დგინდება,რომ სასწავლო პროცესი სრულად არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად **ინდიკატორი დადასტურებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლას შინაგანაწესში აღწერილი აქვს როგორ მოხდება ადამიანური რესურსის მართვა შემხვედრ საჭიროებებთან მიმართებაში და რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა. შინაგანაწესის მე-4 მუხლში წარმოდგენილია სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი და სკოლის დირექციის რეაგირების წესი.

კერძოდ, წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამუშაო ადგილზე დასაქმებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 (ერთი) საათით ადრე), გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის შესახებ, სამუშაო ადგილზე არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით და გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის

დირექტორს/დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით.

ზემოაღნიშნული ფაქტების შემთხვევაში სკოლის დირექტორს აქვს ვალდებულება აკონტროლს დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე გამოცხადება, სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვება და სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა. პერსონალის სკოლაში არ გამოცხადების შემთხვევაში მოახდინოს პირის ჩანაცვლება შესაბამისი კადრით.

ასევე დირექტორთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საგაკვეთილო პროცესის უწყვეტობისთვის, მასწავლებლის საპატიო მიზეზით არ გამოცხადების შემთხვევაში მასწავლებლის ჩანაცვლება ხდება შესაბამისი კათედრის წარმომადგენელი მასწავლებლის მიერ.

სკოლაში სასწავლო წლის, არდადეგების დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სკოლაში სასწავლო პროცესის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. სასკოლო სასწავლო გემაში განსაზღვრულია როგორ შეიძლება ხდებოდეს სასკოლო კალენდარის მართვა, იმ შემთხვევაში თუ კალენდრის განსაზღვრული სასწავლო დღეები ირღვევა, კერძოდ, სასწავლო კვირა ხუთდღიანია, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები და ზამთრის სეზონზე დღის ხანგრძლივობის შემცირების გამო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით, II-XII კლასებში გაკვეთილების ხანგრძლივობა შეიძლება განისაზღვროს 35 წუთით.

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ამას ადასტურებს ასევე სხვადასხვა კათედრის მიერ შერჩეული სასწავლო პროექტები და დიფერენცირებული დავალებები. კათედრა სამივე საფეხურზე მოსწავლისა და კლასის საჭიროების მიხედვით გეგმავს სასწავლო პროექტებს და მოსწავლეებს თავაზობს შემოქმედებითი ტიპის დიფერენცირებულ დავალებებს. მაგალითად, სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ლიტერატურის წრე „ნორჩი მკითხველი“ მეექვსე კლასელთათვის. წრის დებულებით განსაზღვრულია კლასგარეშე არაფორმალური აქტივობების მნიშვნელობა და აუცილებლობა. კლასის საჭიროების მიხედვით, გაწერილია აქტივობები. შესაბამისად, სკოლა ნამდვილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

სკოლაში მიმდინარეობს საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და რეაგირება, რაც გულისხმობს შეფასებასა და ანალიზს, რეკომენდაციების შემუშვებასა და მონიტორინგს. სკოლაში კათედრებზე მიმდინარეობს გამოვლენილი საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და რეაგირება, რაც მოჰყვება შეფასება და ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და მონიტორინგი.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შედგენილია კათედრაზე, გავლილია აქვს ვალიდაცია, მიღებულია კათედრის ყველა წევრით, გაცნობიერებულია მოსწავლეების მიერ, ობიექტურობა და სამართლიანობა შემოწმებულია ვერიფიკაციის დასკვნით. მიუხედავად იმისა, რო ეს პროცესი კათედრისათვის არის სიახლე, წევრებს აქვს მზაობა გაიზიარონ სხვა კათედრის გამოცდილება და განვითარდნენ ამ მიმართულებით. ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრაზე მასწავლებლები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი,სადაც აღწერილია თუ რა მექანიზმებით და პროცედურებით არის შესაძლებელი შეფასების ვერიფიკაცია. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია შეფასების სისტემა,განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, ასე წარმოდგენილია ზოგადი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შემაჯამებელი დავალების, დიაგნოსტიკური წერის, მასწავლბლის გაკვეთილებზე დაკვირების, შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია ესგ-ს სტანდარტთან შესაბამისი რამდენიმე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. რაც ადასტურებს რომ მასწავლეებს აქვთ ცოდნა როგორ შეადგინონ სასწავლო თემის შესაბამისი რუბრიკები. სასურველია კურიკულუმის შემუშავების პროცესში შექმნათ კლასების და საგნების შესაბამისად სასწალო თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მკაფიოდ გამოკვეთილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარე მოლოდინები და სტანდარტის ინდიკატორებიდან განმსაზღვრელის შეფასების კრიტერიუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრამ წარმოადგინა უცხოური ენებში შეფასების რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებისათვის, როგორც საკლასო და საშინაო დავალებებისათვის. აღნიშნული შეფასების რუბრიკების გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და

	სამართლიანობა დასტურდება, იმით რომ, როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მოსწავლეებმა ყოველთვის ზუსტად იციან თუ რაში იქნებიან შეფასებული ამა თუ იმ დავალების შესრულების დროს, კრიტერიუმებს მასწავლებელი აცნობს წინასწარ და გამოკრული არის თვალსაჩინო ადგილას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეფასების რუბრიკები არის ზოგადი, ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლები სხვასხვა დავალების შეფასებისას ძირითადად მიმართავენ ზეპირ უკუკავშირს, თუ რა აქვს გასაუმჯობესელი, რა გამოუვიდა კარგად, და როგორ შეიძლება გამოსწორება, ამ მიმართულებით სკოლა აქვს მზაობა მეტად დახვეწოს პრაქტიკა და ახალი სასწავლო წლისათვის გადაიხედოს შეფასების რუბრიკები, მოხდეს მათი მოდიფიცირება და კონკრეტულ თემაზე მორგება. **რჩევა:** კათედრამ ცალკე შეიმუშავოს უცხოური ენების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის, რათა ამ რუბრიკების საშუალებით მასწავლებლებმა შეძლონ სასწავლო პროცესის დროს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასებების განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ესტეტიკური აღზრდის საგნებში იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ინსტრუმენტი არის ვალიდური-ფასდება ის, რისი შეფასებაც არის დაგეგმილი, შეფასების სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, თვალსაჩინოდ აკრავენ რუბრიკებს საკლასო ოთახში, რათა მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება რუბრიკაზე დაყრდნობით მოამზადოს დავალება. მოსწავლეებს აქვთ თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რომელსაც აქტიურად იყენებენ, სამივე საფეხურზე მოსწავლე ფასდება არა მხოლოდ სწავლების შედეგი, არამედ სწავლის პროცესიც. ამიტომ მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 ქულიანი შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების სისტემა დეტალურად აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ შემდეგს: რისთვის ვაფასებთ (შეფასების მიზანი), რას ვაფასებთ (შეფასების საგანი), როგორ ვაფასებთ (შეფასების ხერხები), ვის ვაფასებთ (შეფასების ობიექტი), როდის ვაფასებთ (რა სიხშირით და რა ვადებში) და როგორ ვიყენებთ შეფასების შედეგებს (მონაცემთა ანალიზი). ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე, მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები,შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის რუბრიკები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მასწავლებელთან ინტერვიუში დასტურდება, რომ მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა შეფასების სისტემის დახვეწაზე, ამ პროცესში ჩართულია კათედრა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი და აღწერილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭვირვალე,სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად. ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მექანიზმებს:

• მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება (სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული);

• სემესტრული/წლიური გამოცდების ჩატარება, როდესაც მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს სემესტრული ნიშნის ამაღლება, თუ მიღებული ქულა არ აკმაყოფილებს.

• კლასის/მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება.

ვერიფიკაციის დოკუმენტის თანახმად მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალეობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დგინდება, რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა მოსწავლისათვის. შეფასების რუბრიკებისა და წარმოდგენილი მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის შედეგად თვალნათლივ ჩანს, რომ შეფასების სისტემა სამართლიანია, შეფასების სისტემა ობიექტურია და ყველა მოსწავლე ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას კათედრების მიხედვით შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მოსწავლეთათვის გამჭვირვალე და სანდოა. მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს შეფასების რუბრიკას ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების წინ. კათედრის წევრები მუშაობენ, რათა ერთად შეიმუშაონ იმგვარი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება ვალიდური და ობიექტურად მოხდება თითოეული მოსწავლის შეფასება.
სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც აღწერილი შეფასების მექნიზმი; ამასთანავე, კათედრას აქვს გაცნობიერებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. კათედრას აქვს მზაობა, რომ შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში გამოკვეთილია შეფასების მიზანი, კრიტერიუმები და ინდიკატორები.

დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი, ურთიერთდასწრების შედეგად გაცემული კონსტრუქციული უკუკავშირი, სკოლის მიერ მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება პედაგოგთა შეხვედრებზე, კეთდება ანალიზი მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ, მუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები. ტარდება დიაგნოსტიკური წერები. გასწორება ხდება კათედრის წევრების მიერ, შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. შედეგები მუშავდება, ხდება ანალიზი კათედრაზე.

კათედრები ამოწმებენ, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე. კათედრის სხდომებზე განიხილება მოსწავლის ნამუშევრების, ფასდება და ანალიზდება შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით კათედრაზე ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემოქმედებითი ტიპის დავალებებისა და სემესტრული (საკლასო და საშინაო დავალებების) და შემაჯამებელი შეფასებების მიხედვით. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კანდიდატის შესრულების შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული; ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკამყოფილებული

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში კათედრების პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებები. კლასისა თუ საფეხურის დაძლევა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია E-flow სისტემაში. ამასთანავე, სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების შენახვა, კერძოდ: კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები სათანადო ანალიზით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები - მოცემული მატერიალური სახის დოკუმენტაცია სკოლაში ინახება სამი წლის ვადით. ასევე, პედაგოგების მიერ მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღრიცხვა მიმდინარეობს ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, რაც თავისთავად შეფასებების დაცულობის და შენახვის გარანტიას წარმოადგენს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსგ,
2. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი
3. შეფასების რუბრიკები
4. კათედრის ოქმი.
5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები;
6. კათედრის სამუშაო გეგმა.
7. კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
8. სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები.
9. სკოლის საათობრივი ბადე.
10. ხარისხის მართვის უზრუნველყოფის პოლოტიკა
11. კლასების საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები;

12. შეფასების რუბრიკები მათემატიკაში ;
13. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
14. ინტერვიუები პედაგოგებთან.
15. საფეხურების საგნობრივი კურიკულუმები
16. შეფასების რუბრიკები
17. კათედრის ოქმი.
18. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები;
19. გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები
20. სკოლის საათობრივი ბადე.
21. ხარისხის მართვის უზრუნველყოფის პოლოტიკა

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლა ბუნების ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის საგნისთვის იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, თუმცა, სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ასევე სხვა მატერიალურ ან ელექტრონულ რესურსებს (phet სიმულაციებს). სკოლაში გამოყოფილია სივრცე სტემ ლაბორატორიისთვის. ფართის სიმცირის გამო ლაბორატორიის აღჭურვილობა მცირეა, მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით (კოლბები, მულაჟები, რეაქტივები, ბანომეტრი, ვოლტმეტრი და ა.შ) ცდილობენ კვლევა-ძიების პროცესის განხორციელება, დამატებით იყენებენ მეზობელი სკოლის რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების და სხვა დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, წარმოდგენილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმი, დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალით. რესურსების სასწავლო პროცესში დასტურად წარმოდგენილი აქვთ სასწავლო თემების განხორციელების პროცესში გამოსაყენებელი რესურსები. მე-11 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმის განხორციელების დანართში ყველა აქტივობის პროცესში ჩანს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება. მტკიცებულად წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი, კათედრის ოქმი დანართით, მატერიალური რესურსებით სარგებლობის შესახებ,საინვენტარიიზაციო ოქმი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ამ ინდიკატორში კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სამივე საფეხურზე **შეესაბამება** მოთხოვნებს ორივე საგანში (ინგლისური, რუსული) კურიკულუმები შემუშავებულია გრფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ლინკები მოცემულია კურიკულუმებში) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები) თუმცა გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სკოლაში არსებულ წიგნად ფონდს და სხვა მატერიალურ თუ ელექტრონულ რესურსებს. სკოლაში ხდება რესურსების იდენტიფიცირება და ეფექტურად გამოყენება, რომელიც ემსახურება სწავლისა და სწავლების ხარისხის პოზიტიურ მიღწევებს, წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე,

	ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია დამატებითი ტექსტები, ვიდეომასალა, პლაკატები, სქემები, ვიზუალური მასალა. დაწყებით საფეხურზე რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები: სიტყვების ყუთი, დასურათებული ბარათები, კუბიკები, გამოცანები, მოძრავი რიცხვები, ზღაპრის პერსონაჟის ილუსტრაციები, სიტყვების გამომძიებელი, მხატვრული ხერხების სადემონსტრაციო პლაკატი, სიტყვის სკივრი, პერსონაჟისა და ამბის რუკა. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კი დამხმარე რესურსებად მოცემულია მხატვრული ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები, ტელესკოლის გაკვეთილები. ასევე, სხვადასხვა სახის გრაფიკული მაორგანიზებლები. ასე რომ, სახელმწიფი ენის კურიკულუმებში ძირითად ტექსტებთან ერთად სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ <u>**სწავლების სამივე საფეხურზე**</u> წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია რესურსები: შესაბამისი კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (ხანის აკადემია, EL.ge, math.ge, ტელესკოლა), მათემატიკური ელექტრონული პროგრამები: geogebra, desmos დასხვა. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ყველა მითითებული რესურსი წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე ტექნიკა. მასწავლებლის ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლის ხელთ არსებული რესურსი და ასევე ინტერნეტ რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დადასტურებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. სკოლას ეძლევა რჩევა, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები;ელ.ბმულები. **ინდიკატორი დადასტურებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის სამივე საფეხურზე. რესურსები გამოიყენება შესაბამის სასწავლო და არაფორმალურ გარემოში მიზნობრივად, ხელს უწყობს სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს რესურსების შევსებას, განახლებას და ხელმისაწვდომობას. ვალიდირებული სასწავლო რესურსი ასახულია საგნობრივ კურიკულუმებში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე დამტკიცებულ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი სამივე საფეხურისათვის, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი. არსებული რესურსებით იგეგმება და ხორციელდება სასწავლო პროცესი. რესურსების ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასწავლო რესურსი ვალიდურია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსით შესაძლებელია, მოსწავლის სწავლებისა და სწავლის პროცესის ხელშეწყობა. სამივე საფეხურზე კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად სასწავლო რესურსები მიზნობრივად და სწორად იქნა გამოყენებული, რაც დასტურდება შემოქმედებითი დავალებებით, პროექტებით, მასწავლებელთა ინტერვიუებითა და ჩანაწერებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რა პრინციპებით და როგორ ადგენენ დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალს მასწავლებლებმა გასცეს პასუხი რომ სასწავლო წლის დასაწყისში და მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან (თემა, მიზნები და ა.შ.), განიხილავენ რამდენად კონკრეტული რესურსი ხელს უწყობს კონკრეტული ტემის გავლის დროს დასახული სასწავლო მიზნების მიღწევას

	რჩევა: კათედრამ ან სკოლამ შეიმუშავოს კრიტერიუმები რომლის მეშვეობით კათედრის წევრები ან სკოლის მიერ სპეციალურად განსაზღვრული პირი დაადგენს დამხმარე რესურსების ვალიდურობას, დაადგენს თუ რამდენად ეხმარება შერჩეული დამხმარე რესურსი მოსწავლეებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასევე გასაუბრების დროს წარმოდგენილ ფაქტებზე დგინდება, რომ სკოლაში არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. რესურსები გამოიყენება შესაბამის სასწავლო და არაფორმალურ გარემოში მიზნობრივად, სკოლა უზრუნველყოფს რესურსების შევსებას, განახლებას და ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციისათვის სკოლა იყენებს ზეპირ შეთანხმებას კათედრის წევრებს შორის. სახელმწიფო ენის კათედრაზე თანხმდებიან, რომ რესურსი საგნობრივად და ეთიკურად მიზანშეწონილია. კათედრა თვითონ იღებს პასუხისმგებლობას, რომ შერჩეული რესურსი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მისი მიზნების მიღწევას უწყობს ხელს, არის ასაკისათვის შესაფერისი, არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან მიკერძოებულ შინაარს და ითვალისწინებს მოსწავლის განვითარების დონესა და ინტერესებს. **რჩევა:** სკოლამ შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის შემოწმების ფორმა, რომელსაც მასწავლებლები გამოიყენებენ კათედრების სამუშაო შეხვედრებზე დამხმარე რესურსის ვალიდაციის შესამოწმებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ <u>**სწავლების სამივე საფეხურზე**</u> წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამხმარე სასწავლო რესურსები: ხანის აკადემია, EL.ge, math.ge, ტელესკოლა; მათემატიკური ელექტრონული პროგრამები: geogebra, desmos. ყველა

	კურიკულუმი შემუშავებულია მათემატიკის კათედრის მიერ, შესაბამისად მათში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ სტანდარტებს. შესაბამისად, უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსების ვალიდურობა. **ინდიკატორი დადასტურებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა კათედრაზე ხორციელდება,მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები. **რჩევა**-დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში აისახოს კონკრეტული- ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ინტერნეტ რესურსი, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები და სხვა. **ინდიკატორი დადასტურებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას პედაგოგები იყენებენ სადემონსტრაციო რესურსებს და ინტერნეტრესურსებს,, მასწავლებლი იყენებს საკუთარ და მოსწავლეების შემოქმედებით უნარებს და ქმნიან რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა ასაკისა და საგნობრივი მასალის შესაბამისად არის შედგენილი და გამოყენებული. ბუნების გაკვეთილები ხშირად ტარდება არაფორმალურ გარემოში-ღია ცის ქვეშ. სკოლაში სტემ ლაბორატორიისთვის გამოყოფილია სივრცე, სადაც სკოლას აქვს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად მატერიალური რესურსები, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ ლაბორატორიაში განთავსებული მინის ჭურჭლები რეაქციების ჩასატარებლად, მულაჟები, თვალსაჩინოებები, ფიზიკის ხელსაწყოები და სხვა. ასევე სკოლას აქვს თანამშრომლობა მეზობელ სკოლასთან, რომლის ლაბორატორიასაც იყენებს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე დამტკიცებული სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი. საინვენტარიზაციო უწყისი. (2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), წარმოდგენილი დოკუმენტაციით შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ამ ინდიკატორში კათედრა სამივე საფეხურზე შეესაბამება მოთხოვნებს. სკოლას და კერძოდ უცხოური ენების კათედრას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი რომ უზრუნველყონ კურიკულუმებში გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. მაგალითად, კათედრას შეუძლია გამოიყენოს სკოლაში არსებული კომპიუტერი და პროექტორი საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში არის ინტერნეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვლინდება რომ სკოლას ააქვს შეზღუდული რესურსები (ლაბორატორია, ისტ-ის ლაბორატორია...) გასაუბრების პროცესში აღინიშნა, რომ ეს არ უშლის სასწავლო პროცესს ხელს, მასწავლებლები იყენებენ ინტერნეტ რესურსებს, როცა დავალებას კურიკულუმთან და სასწავლო მიზნებთან პირდაპირი კავშირი აქვს. გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ მასწავლებლი იყენებს საკუთარ და მოსწავლეების შემოქმედებით უნარებს და ქმნიან რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა ასაკისა და საგნობრივი მასალის შესაბამისად არის შედგენილი და გამოყენებული. გაწერილია აქვთ რესურსის გამოყენების სარგებლიანობა, მისაღწევი საგანმანათლებლო მიზნები, რესურსით მუშაობის ფორმატი, დავალების ინსტრუქციები და ა.შ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და აღჭურვილ საკლასო ოთახებს, დიფერენცირებულ საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახებს, ძირითად და დამხმარე რესურსს. სწავლის პროცესში შედეგის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა სკოლას შესაბამისი გარემო და ტექნიკური შესაძლებლობა. სახელმწიფო ენის კათედრა მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, სახელმწიფო ენის კურიკულუმით გათვალისწინებულ აქტივობებში თითქმის ყველა თემაში გვხვდება ვიდეორგოლის, ანიმაციის ან მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნახვა განსახილველად. შესაბამისად, სკოლა კომპიუტერითა და პროექტორით უზრუნველყოფს კურიკულუმით მისაღწევი შედეგების მატერიალურ უზრუნველყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ <u>სწავლების სამივე საფეხურზე</u> წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამხმარე სასწავლო რესურსები: ხანის აკადემია, EL.ge, math.ge, ტელესკოლა. მათემატიკური ელექტრონული პროგრამები: geogebra, desmos. სკოლას აქვს ინტერნეტი, საჭიროების შემთხვევაში პროექტორი და ეკრანი, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევისთვის ყველა პედაგოგი და მოსწავლე უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ ვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი სწავლის შედეგების მისაღწევად. თანამედროვედ აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე რესურსები სრულებით ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს. აღნიშნული იკვეთება კურიკულუმებში, ასევე მასწავლებლის ინტერვიუში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

წალენჯიხის N3 საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალის/მასწავლებლების ხელშეკრულებების, სკოლის მართვის საინფორამციო სისტემაში არესბული (https://eschool.emis.ge/index.html) მასწავლებელთა მონაცემების, პედაგოგიური საბჭოს ოქმებისა და კათედრის ოქმების შესაბამისად, წალენჯიხის N3 საჯარო სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული საგნის/საგნების სწავლება ხორციელდებოდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და რაოდენობის ადამიანური რესურსით.
პერსონალთან/მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

სკოლაში 2024-2025 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 24 მასწავლებელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 24 პედაგოგი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლაში გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: უფროსის, წამყვანისა და მენტორი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძანებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის დამამტკიცებელი დოკუმენტი.
2. დოკუმენტი სკოლაში არსებული სხვა რესურსების შესახებ.
3. ხელშეკრულებები.
4. მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი.
5. კლასების საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები;

6. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
7. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
8. ინტერვიუები პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის,,სკოლის თვითსეფასების დოკუმენტიდან, ასევე, სამოქმედო გეგმის მიხედვით, ვლინდება, რომ მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში გადანაწილებულია ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიტორინგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვისას ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. გასაუბრებით კათედრის დონეზე

გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეების შედეგების, შემაჯამებლების ანალიზს და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ შემდგომ ინტერვენციებს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას და კურიკულუმში შეფასებისა და მონიტორინგის მდგრადი მექანიზმის უზუნველყოფას.

მასწავლებლები შემოქმედებითი დავალების შესრულებისას აკეთებენ რეფლექსიას, რომელ შემოქმედებითი ტიპის დავალებას ამოიღებდნენ, რომელს შეცვლიდნენ. ისინი თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, კათედრაზე ანალიზდება შემაჯამებელი დავალებები, შესაბამისად, ხდება მოსწავლეების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა, რასაც ითვალისწინებენ შემდგომი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ამჟამად ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლას აქვს განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩო კურიკულუმების შესაფასებლად, რომლის მიხედვითაც ხდება კურიკულუმის მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, დაიგეგმება ცვლილება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიამართულებით: მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებით, მასწვალებელთა პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებით და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასთან, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. გასაუბრებიდან დგინდება, რომ მოსწავლეთა მიღწევების, შედეგების ანალიზი შემდეგ მასწავლებლები განსაზღვრავენ პრობლემის მოგვარების გზებს, აღნიშნული პროცესი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება და შედეგების გაუმჯობესება. ინტერვიურიების დროს მასწავლებლები აღნიშნეს, რომ განხორციელებული მონიტორინგი და შეფასების ანალიზი სამივე საფეხურზე ეხმარება მათ ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთაში, რომლის საფუძველზე კათედრა შევიმუშავებს პრიორიტეტულ და გრძელვადიან მიზნებზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ მოდიფიცირებულ (გაუმჯობესებულ) კურიკულუმს. სწავლა-სწავლება ცოცხალი პროცესია, რომელიც მუდმივ ცვლილებასა და განახლებას მოითხოვს მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ სკოლაში სამივე საფეხურზე ყოველთვის ტარდება მონიტორინგი და მიღებული შედეგების საფუძველზე იგეგმება სამომავლოდ სამივე საფეხურის კურუკულუმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები, ურთიერთთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმს, აანალიზებენ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებს თუ შემაჯამებლებს, განიხილავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს, რომელიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მასწავლებლები სისტემატურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აძლევენ უკუკავშირს. ისინი ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს თავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ რჩევებს. მონიტორინგი და შეფასება ეხმარება ყველა ჩართულ მხარეს: მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს და ადმინისტრაციას. მასწავლებლისთვის მონიტორინგი პროფესიული განვითარების ბუნებრივი ნაწილია. ის ეხმარება პედაგოგს გააანალიზოს საკუთარი პრაქტიკა, დაადგინოს, რა მუშაობს და რა საჭიროებს გაუმჯობესებას. საერთო შედეგების ანალიზი ხელს ეწყობს თანამშრომლობას კოლეგებს შორის, ხდება გამოცდილების გაზიარების საფუძველი და გამოავლენს განვითარების მიმართულებებს. ეს ყველაფერი კი პირდაპირ აისახება მასწავლებლის მოტივაციასა და გაკვეთილის ხარისხზე.

სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათ შორის შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკები, რომელიც შემოქმედებითი დავალებაზე მუშაობის პროცესის მონიტორინგის, შეფასების, ტიპური პრობლემების გამოკვეთისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ასევე შეფასებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსწავლეთა თვითშეფასება, თანატოლთა ურთიერთშეფასება და უკუკავშირს; მშობლებთან და კლასში შემსვლელ სხვა მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან გასაუბრებას.
მასწავლებლებმა შეხვედრაზე გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას გვაძლევს განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რომლებსაც ისინი წლის დასაწყისში ადგენენ, ან მოდიფიცირებას უკეთებენ. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ასევე ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
3. გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი შეფასების მექანიზმების გამოყენებით, რაც შეფასების ჰოლისტურობაზე მიუთითებს, მაგალითად, მოსწავლეთა საგნობრივი მიღწევების შედეგებზე დაყრდნობით, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენებით, რომელიც მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს, მშობელთა კმაყოფილების კითხვარების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გადაიხედოს და გაუმჯობესდეს სასკოლო სასწავლო პროცესი, გამოვლინდეს მიღწევები და ხარვეზები, რომელთა დროული აღმოფხვრა წაადგება სასკოლო კულტურის განვითარების პროცესს. პედაგოგთა თვითშეფასება და პორტფოლიოების წარმოება ასევე ხელს უწყობს სასკოლო კულტურის განვითარების პროცესს.
  რადგან ყველა მოსწავლე განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობებით, სკოლა მათ სთავაზობს შეფასების ისეთ ფორმას, რომელიც მათ ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზეა მორგებული. ამისათვის იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: ჩანაწერებს, დაკვირვებებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკით მოწმდება შემოქმედებითი დავალება, სასწავლო პროექტი, მისი თითოეული ეტაპი, ასევე არაფორმალური აქტივობები. განმსაზღვრელი შეფასებით მოწმდება შემაჯამებელი დავალებები, ტესტები.
მრავალფეროვანი წყაროები ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ შეფასებას, აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს
მოსწავლის შესაფასებლად იყენებენ აგრეთვე მასწავლებლის დაკვირვებას, კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან მიღებულ ზეპირ ინფორმაციას. მათი ძირითადი მიზანია მოსწავლეს განუვითარდეს მეტაკოგნიტური უნარები და ამავე დროს მიიღოს ინფორმაცია სასწავლო საჭიროების შესახებ. დაგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებლები ახორციელებენ თითოეული მოსწავლისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასებას ხორციელდება ესგ-ს შედეგების მოთხოვნის შესაბამისად, შეფასება სასწავლო პროცესის წარმართვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. სკოლა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებენ განმავითარებელ შეფასების რუბრიკას. იყენებენ გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის რუბრიკებს. იყენებს როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმას, რომლის საშუალებითაც ამომწურავად ახერხებს მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასებას, აფასებს ცოდნის დონეს, გაგება-გააზრების, შეფასების, მსჯელობის, არგუმენტაციის, დასკვნების გამოტანის უნარს, ნასწავლის ტრანსფერულ და შესწავლილი მასალის სინთეზის უნარებს. შეფასებისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მათი მზაობა და საჭიროებები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის და კათედრასთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ მასწავლებლებს სწორად აქვთ გააზრებული, თუ რას გულისხმობს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტური ხასიათი და რატომაა მნიშვნელოვანი, რომ შეფასება ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს. მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების სრულფასოვნად შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო.

ასევე კათედრა წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით, შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრებით, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტებითა ან პრეზენტაციებით; მასწავლებელი სწავლების პროცესში აფასებს არა მხოლოდ კონკრეტულ ამოცანებზე მუშაობას, არამედ იმასაც, როგორ ავითარებს მოსწავლე მიღებულ ცოდნას სხვადასხვა აქტივობაში, როგორ მუშაობს ინდივიდუალურად ან ჯგუფში. შეფასება ითვალისწინებს მოსწავლის ემოციურ მდგომარეობასაც, მის შესაძლებლობებს, წვდომას რესურსებზე და სხვა გარემო ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მის შესრულებაზე. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასება ხორციელდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რის საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა იყენებს მათ ინტერესებს. კომპლექსური დავალების შესრულების დროს მასწავლებლები აკვირდებიან, რა ტიპის დავალებამ გამოიწვია მეტი ინტერესი და ცდილობენ, რომ მომდევნო დავალება მსგავსი მისცენ, აღნიშნული ეხმარება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში და ამის საფუძველზე გეგმავენ მუშაობას ისე, რომ პრობლემა აღმოფხვრან. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. ყოველივე ამას აღნუსხავენ წერილობით დოკუმენტაციაში.

სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: შემაჯამებელი ტესტირების ანალიზი, ჩანაწერების წარმოება, წერითი სამუშაოები, ზეპირი პასუხები, დაკვირვება, პროექტული საქმიანობა და პრაქტიკული დავალებები. თითოეული მეთოდი ასახავს მოსწავლის განსხვავებულ უნარსა და შესაძლებლობას, ამიტომ მრავალფეროვანი მიდგომა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის უნიკალურობის უკეთ დანახვას. მასწავლებლები აგროვებენ მონაცემებს როგორც ფორმალური შეფასების დროს, ისე ყოველდღიურ სწავლებაში. თვითშეფასება და თანატოლი შეფასებაც მონაცემთა შეგროვების წყაროა, რადგან ის ასახავს მოსწავლის დამოკიდებულებას საკუთარი თავის მიმართ. ეს მრავალმხრივი ინფორმაცია ეხმარება მასწავლებელს სწორი პედაგოგიური გადაწყვეტილებების მიღებაში, სწავლების დიფერენცირებასა და რეალური საჭიროებების დაფიქსირებაში. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატური ერთეულების და რიგ შემთხვევაში ამ თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი შმოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომელთა განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების გააზრებასა და ათვისებას, არამედ მთლიანი პროცესის შეფასებას, რომლის დროსაც ხდება დაკვირვება როგორც მოსწავლის აკადემიურ უნარებზე, აგრეთვე მის ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე, სოციო-ემოციურ განწყობაზე და იმ მოქმედ ფაქტორებზე, რაც ზეგავლენას ახდენს მოსწავლის მთლიან პერფორმანსზე და შედეგებზე. კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, კონტექსტ მაგალითები და პროექტები. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი კონტექსტიდან მოსწავლის შედეგის შეფასებას.

შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ინფორმაცია რაც მოსწავლეს უკავშირდება, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა შეფასების ელემენტს. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობს დიფერენცირებული სწავლისა და შეფასების მეთოდი. მოსწავლეები ფასდება შემოქმედებითი, თანამშრომლობითი, კომუნიკაციისა და სხვა უნარების მიხედვით, რომლებიც კრიტერიუმებათაა გატანილი შეფასების რუბრიკებში და მოსწავლეები ფასდებიან ყოველდღიურად. ამ ყველაფრის განხორციელებისათვის საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემსვლელ სხვა მასწავლებელებთან. მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით ვალიდური შეფასება და კონსტრუქციული უკუკავშირი უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესს.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ მასწავლებლები აფასებენ არა მხოლოდ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებას, არამედ ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებებსაც, რომლებშიც ის შესრულდა. შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს, ინდივიდუალურ პროგრესს, მოტივაციას, ძალისხმევას, ჩართულობასა და სწავლებისადმი დამოკიდებულებას. ფასდება არა მხოლოდ საბოლოო შედეგი, არამედ პროცესში გაწეულ შრომაც. მნიშვნელოვანია, მოსწავლის ემოციური მდგომარეობა, სოციალური ფონი, სპეციალური საჭიროებები და რესურსებზე წვდომა. სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეაფასოს მოსწავლე სამართლიანად და ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოტივაციის ზრდას, სწავლის პროცესში ჩართულობას და სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.შეფასების რუბრიკები

2.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

3.საგნობრივი კურუკულუმები;

4.შემოქმედებითი დავალების ნიმუშები

5. შემოქმედებითი დავალების შეფასება.

6.მშობლის ბარათი

7.დაწყებითი, სააბზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურუკულუმები;

8.შემოქმედებითი დავალების ნიმუშები

9. შემოქმედებითი დავალების შეფასება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მიმდინარე სასწავლო წელს კურიკულუმის განვითარება და მხარდაჭერა. მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე პედაგოგებმა უნდა გადახედონ ინდივიდუალურად შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებს და სრულყონ შემდეგი თვალსაზრისით, თემებში გაწერონ სამიზნე ცნებები, საკითხების/საკითხთა კლასტერის სრულყოფილი ჩამონათვალი გააკეთონ, გაწერონ შემოქმედებითი დავალებები და რესურსები შეიტანონ შესაბამის ველებში.
სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს , რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმები. სამივე საფეხურზე კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე, როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. ღიაობა და მიმღებლობა

წახალისებულია როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეებისა იდეების მიმართ. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასწავლო პროცესში ჩართული პირების მხრიდან მზრუნველობითი და მხარდამჭერი გარემოს შექმნას სასკოლო სივრცეში, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ სრულყოფილად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, თავი უსაფრთხოდ იგრძნონ, ქონდეთ მასწავლებლების მხარდაჭერის იმედი და თავადაც შეძლონ გაუწიონ დახმარება თანატოლებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (კურიკულუმები, კლუბების სამუშაო გეგმები, სასკოლო ღონისძიებები და აქტივობები, სკოლის სამოქმედო გეგმა და სხვ.) და გასაუბრების საფუძველზე, შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ სკოლაში შექმნილია ურთიერთდახმარების, ურთიერთპატივისცემის და სკოლაზე ზრუნვის ატმოსფერო, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის უსაფრთხო სასწავლო, შემოქმედებითი და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესში შექმნილი მხარდამჭერი გარემო, ასევე დასტურდება კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ურთიერთდასწრებებზე მიცემული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობით. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის.

კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას. შემუშავებულია კურიკულუმები. პარალელურად მიმდინარეობს კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, დასკვნების გამოტანა და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. კურიკულუმებში და სამოქმედო წლიურ გეგმაში ასახულია სკოლის პრიორიტეტები. ასევე, გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. სკოლას აქვს მზაობა, მომავალშიც იმუშავოს ამ საკითხებზე.

სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას გასული წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისას მიღწეული წარმატებისა და ხარვეზების შესახებ. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დაგეგმილია კურიკულუმის ანალიზი საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეიმუშავებენ ახალ წლიურ სამოქმედო გეგმას, რომლის ნაწილიც იქნება რევიზირებული, გადამუშავებული, სკოლის საჭიროებას მორგებული საგნობრივი კურიკულუმები.

ასევე პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მომდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესის შეფასება თუ, რომელმა შემოქმედებითმა დავალებამ აღძრა მოსწავლეთა ინტერესი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში ? მიემართება თუ არა თემა, საკითხები გრძელვადიან მიზნებს, არის თუ არა კურიკულუმის მეთოდური ორიენტირი ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ა.შ. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები, შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საგნობრივ კათედრებზე წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმების დახვეწაზე. აპირებენ, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ასახონ საგნობრივ კურიკულუმში. აპირებენ გაითვალისწინონ ის პრობლემები, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ პრობლემის დაძლევის გზები.
სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. დოკუმენტის თანახმად, ,,ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებამდე, სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოხდება) შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად; რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.''
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში წარმატებით განხორციელდა კურიკულუმში გათვლილი პრიორიტეულ თემებს მორგებული შემოქმედებითი დავალებები, კურიკულუმების თემის შერჩევის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა არჩევანი, რათა უფრო ეფექტური და ინტერაქტიული გახდეს დანერგვის პირველ ეტაპზე წარმართული მუშაობა, სწორედ ამიტომ კურიკულუმის რევიზირების მიზნით, საჭიროებიდან გამომდინარე, კათედრა შეიკრიბება, ერთობლივად იმუშავებენ კურიკულუმის დახვეწაზე, შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილების პროცესში მიღებული გამოცდილების ანალიზსა და გაზიარებაზე.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმებში ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები, ვინაიდან სკოლას აქვს შემოქმედებეითი დავალებებით მუშაობის გამოცდილება, სკოლის პედაგოგები შეიმუშავებენ ისეთ შემოქმედებით დავალებებს, რომლებშიც იქნება გათვალისწინებული სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ამის შედეგად შეიქმნება სკოლის კურუკულუმები, რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სსგ

2.შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

4. შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 18.07.2025.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: